№ 5. აგვისტო 1920 წ.

ეროვა

ორკვირეული საერობო ჟურნალი

ეროვათა კავშირის კომიტეტის ორგანო

ტფილისი.
სამხედრო სამინისტროს სტამბა.
1920

შ ი ნ ა ა რ ს ი:

		გვერდი.
1.	ბათომის შემოერთება და თვითმართველობა	1
2.	თემის კანონ-პროექტის გამო	3
3.	**ივ. გომართელი**—თემი და მისი მოვალეობა	5
4.	**ნ. ელიანი**—დემოკრატია და თვითმართველობა	9
5.	საქართვ. კონსტიტუცია და ადგილობრივი მმართველობა	11
6.	**მ. რუსია**—განმარტებითი ბარათი	13
7.	განმარტებითი ბარათი სახელმწიფო ბიუჯეტისა 1919—20 წლისათვის	16
8.	**აგრ. ი. ლომოური**—სასოფლო-სამეურნეო ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებათა ურთიერთობა	18
9.	**ნ. ასათიანი**—არსებული კანონი თემის შესახებ	22
10.	**გ. ბენაშვილი**—ტფილისის მაზრის ეროობის სტატისტიკური განყოფილების 1919 წ. ანგარიში	30
11.	**აგრ. ი. ქურდიანი** — აგრონომიული დახმარების მოწყობა ტფილისის მაზრაში	33
12.	**მ. ქარცივაძე**—ხეხილის ბაღის გაპატივება	38
13.	ქ რ ო ნ ი კ ა	46
14.	ბიბლიოგრაფია	63

15 აგვისტო, 1920 წ.

ბათუმის შემოერთება და თვითმართველობა.

საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრებაში უდიდესი და უშესანიშნავესი ამბავი მოხდა: ბათუმი და ბათუმის მხარე დედა საქართველოს შემოუერთდა. სიმართლემ და სამართალმა გზა გაიკაფა. საქართველოს დემოკრატიის გამუდებული და გონიერი ბრძოლა საკუთარი სახელმწიფური უფლებისათვის ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა.

ეს კუთხე ისტორიულათ, ეკონომიურათ, კულტურულათ, ეთნოგრაფიულათ ყოველთვის ჩვენი იყო. აქ სალაპარაკო და სადავიდარაბოც არა იყო რა. მაგრამ უდავო სადაოთ გამოგვიცხადეს. მოსულნი და გარეწარნი შეგვეცილენ. თავდაპირველად ვითომ არ უწევდენ ანგარიშს არც სამუსლიმანო საქართველოს საუკეთესო შვილთა გადაწყვეტილებას, რომ საქართველოს რესპუბლიკის ფრთის ქვეშ შესულიყვნენ და მით აღედგინათ საერთო სამშობლოს დარღვეული მთლიანობა.

ბოლოს მართალმა საქმემ გაიმარჯვა. ევროპის ბედის თანამედროვე მგსაჭენი იძულებული გახდენ ეცნოთ საქართველოს რესპუბლიკა ბათუმის და მისი ოლქის ბუნებრივ მემკვიდრედ და ისტორიულ მოჭირნახულედ.

ამ ნაირათ ძალად ჩამოგლეჯილი კუთხე ჩვენს სახელმწიფოს შემოუერთდა. ორი დროებით განშორებული ძმა—საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველო ერთიერთმანეთს ძმურად შეეყარა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობაც აღსდგა.

ამ ამბავს გულის ფანცქალით მოელოდა მთელი ჩვენი ერი. მან ღირსეულადაც აღნიშნა **პოლიტიკური გაერთიანების** მნიშვნელობა.

მაგრამ ახლავე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქმე შემოერთების ბრწყინვალე სადღესასწაულო აქტით არ გათავებულა. საქართველოს დემოკრატიის წინაშე იშლება უდიდესი ასპარეზი სახელმწიფური აღმაშენებლობისათვის.

ბათუმის მხარე რუსეთის მონობის ქვეშ სულს ღაფავდა. ხალხი გადაშენების და გადაგვარების გზას დაადგა. ქვეყანა იხუთებოდა თვითმპყრობელობის ბრჭყალებში. ომმა, შემოსევამ, სხვა და სხვა ბრბოების

5664

Библиотека-Музей имени Акад. И. Грашашвили

დაუსრულებელმა თარეშმა ხომ სრულიად გაანადგურეს ეს მშვენიერი კუთხე!

აქ ვერ დაამყარა სამართალი და წესიერება ვერც იმან, ვინც მუდამ სამართლის და წესიერების სახელით ლაპარაკობს. ინგლისმა ვერ მიანიჭა ადგილობრივ ხალხს მშვიდობა და უზრუნველყოფა. მისი ბატონობის ხანმოკლე დრო ბათუმის ოლქში აღინიშნება პირუთვნელი ისტორიის მიერ, როგორც უმართველობის და ცუდი მართველობის დრო...

დიდი საქმე გვაქვს გასაკეთებელი ბათუმის ოლქში. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ და თავისთავად ცხადია დავამტკიცებთ, რომ ბათუმსა და მის მხარეს მოუვლის და დაიფარავს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკა. სამუსლიმანო საქართველოს ერთად ერთი დამხმარე, ერთად ერთი თანამოზიარე და ნუგეში ჭირსა და ლხინში ჩვენა ვართ და ჩვენვე ვიქნებით ყოველთვის.

პირველი საქმეა **მმართველობის და თვითმართველობის შექმნა და მოწყობა** ბათუმის ოლქში. ეს ძალიან კარგად იცის ჩვენმა მთავრობამ. მთელი ჩვენი გულისყური სწორედ აქეთკენ უნდა იყოს მიპყრობილი. ბათუმის ოლქს საერთოდ სამუსლიმანო საქართველოს მოაწყობს და აღადგენს როგორც კულტურულად, ისე პოლიტიკურად და ეკონომიურად კარგი მართველობა, რომელიც ბოლოს და ბოლოს იგივე თვითმართველობა, იგივე ადგილობრივი ავტონომია იქნება.

საქართველოს ერობა და მუნიციპალიტეტი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ადევნებდეს თვალს ახლად შემოერთებულ მოძმეთა შორის ამ თვითმართველობის აღორძინების პროცესს. ჩვენმა თვითმართველობამ ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინოს მათ ამ დიდ საქმის კეთილად დაწყებისათვის.

თავის მხრით მუსლიმან ქართველებმა უნდა დაანახონ მტერსაც და მოყვარესაც, რომ მათ შეუძლიათ და უნარიც აქვთ პირდაპირ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოებრივ მუშაობაში, გაუძღვენ ადგილობრივ საქმეებს და ითანამშრომლონ თავის უფროსი, უფრო დაწინაურებული ძმების ხელმძღვანელობით. ჩვენ შორის სამუდამოდ უნდა მოიშალოს ის უნდობლობის კედელი, რომლის ასამართავად დიდი ხანია მუშაობდენ ჩვენი მოსისხლე მტრები. და ყოველთვის ხელიხელ ჩაკიდებული, გაერთიანებულის ძალღონით უნდა ვიდოდეთ საერთო ამაღლებისა და კეთილდღეობისაკენ.

თემის კანონ-პროექტის გამო.

„ერობის“ უკანასკნელ ნომერში (№ 4) დაბეჭდილია კანონ-პროექტი თემის შესახებ. ცხადია, ეს საკითხი — თემის საჯარო უფლებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბება და მისი კანონის ძლიერებით შემოსვა — შეადგენს ერთს უდიდეს საკითხთაგანს არა მარტო თვითმართველობის ისტორიაში, არამედ მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ვითარებაში.

თემი სახელმწიფოებრივი შენობის საძირკველია, პოლიტიკური ცხოვრების პირველი, უმნიშვნელოვანესი უჯრედია. აქედან თავის თავად გამომდინარეობს თემის კანონ-პროექტის მნიშვნელობა.

რედაქცია თავის დროზე დაწვრილებით შეეხება საკითხს და თავის დასაბუთებულ შეხედულებას წარმოუდგენს საზოგადოებას თემის ორგანიზაციის შესახებ. მხოლოდ საჭიროა ამ საკითხის გარშემო ფართო სერიოზული კამათი და დასაბუთებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გაიმართოს პრესაში და საზოგადოებაში. მივმართავთ და ვთხოვთ ყველა დაინტერესებულ პირთ და საზოგადოებას, ყველა პოლიტიკურ და საერობო მოღვაწეთ და სპეციალისტებს გამოსთქვან თავისი აზრი აღძრულ საკითხზე და მით ხელი შეუწყონ დიდი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საქმის მოგვარებას.

თემი და მისი მოვალეობა.

რომ დაეკითხოთ ვისმე: რა ნაწილები შეადგენენ ადამიანის სხეულსო, უმეტეს შემთხვევაში ამაგვარ პასუხს მიიღებთ: თავი, ტანი, გული, კუჭი, ფილტვები და სხვა.

ამგვარი პასუხი სრულიად მისაღები არ არის,—არ არის იმიტომ რომ, თვითონ ეს ასოები შესდგებიან პატარ-პატარა ნაწილებისაგან და ესენი არიან უჯრედები.

ადამიანს, როგორც საერთოდ ყოველ ცოცხალ არსებას, ახასიათებს სწორედ ეს უჯრედი. რა ნაწილიც უნდა აიღოთ ადამიანის სხეულში, ყველგან უჯრედს ნახავთ.

უჯრედი არის საფუძველი, სიმტკიცე ცოცხალი სხეულისა; სხვა საფუძველი მეცნიერებამ არ იცის.

უჯრედი საზრდოობს, ცოცხლობს, მრავლდება,—ცოცხლობს ადამიანიც.

უჯრედი მოკვდა,—სიცოცხლეს საფრთხე მოელის და ბევრჯერ აუცილებელი სიკვდილიც.

ჩემი წერილის შინაარს ბუნების მეტყველება სრულებით არ შეადგენს.

თუ აქ უჯრედზე ჩამოვაგდე სიტყვა, იმიტომ, რომ ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას აქვს თავისი უჯრედი და ეს უჯრედია თემი.

მთელი რესპუბლიკა დაფუძნებულია თემზე.

თუ თემში საქმე კარგათ ეწყობა, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ მთელს რესპუბლიკაშიც კარგათ მიდის საქმე.

თუ თემში წესიერებაა, მთელს რესპუბლიკაშიც წესიერებაა; თუ თემში განათლებაა, მთელს რესპუბლიკაშიც განათლებაა; თუ თემი კმაყოფილია, მთელი რესპუბლიკაც კმაყოფილია. ერთის სიტყვით რესპუბლიკის მთელი კეთილდღეობა თემზე არის დამყარებული.

რა მოვალეობა აწევს თემს, რა უნდა გააკეთოს მან?

თემი წარმოადგენს პატარა რესპუბლიკას. მაშასადამე თემს აწევს ბევრი ისეთი მოვალეობა, რაც საერთოთ რესპუბლიკას.

თემის წევრთა კეთილდღეობის გაზრდა და მათი ქონების და სიცოცხლის დაცვა,—აი მოკლეთ შინაარსი ამ მოვალეობისა.

კეთილდღეობის გაზრდა ზოგადი მცნებაა და მას დაყოფა, დანაწილება და გარკვევა, გამარტივება ესაჭიროება.

ადამიანი მით განირჩევა ბევრი ცხოველისაგან, რომ ის იშენებს სახლს და ამით იფარავს თავის თავს და თავის ჯანრთელობას.

თუ როგორ სახლში ცხოვრობს ადამიანი, ეს არ არის სულერთი მისი ჯანმრთელობისათვის. რა გეგმაზე არის სოფელი გაშენებული, ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს თვითონ სოფლისათვის?..

ამიტომ აქაც კი უნდა ჩაერიოს თემი.

ჩვენ იმას კი არ ვითხოვთ, რომ იემებმა სახლები და სოფლები დაანგრიონ ახლების ასაშენებლათ, მაგრამ ყოველ თემს უსათუოთ უნდა ჰქონდეს შემუშავებული რამოდენიმე ტიპი სოფლის სახლისა და, ვინც მოინდომებს ახალი სახლის აშენებას, თავისი შეძლებისადაგვარათ უნდა იხელმძღვანელოს ამითი.

თემისათვის სულ ერთი არ არის რა სიგანე ექნება გზას, საით იქნება ის გაყვანილი, სად უნდა იქნეს საბაზრო ადგილი და სხვ.

წარმოვიდგინოთ გამარტოვებული თემი, როდესაც მისი ფარგალი მარტო ერთი სოფელია.

მაშინაც უპირველეს საჭიროებას თემისას წარმოადგენს გზა და საერთოთ მიმოსვლა.

თემს მთელს რესპუბლიკასთან აქვს კავშირი. ამ კავშირისათვის კი საჭიროა დღეს ფოსტა, ტელეგრაფი და ტელეფონი, რაც ყოველ თემს უნდა ჰქონდეს,

მართალია, ფოსტაც, ტელეგრაფიც, ტელეფონიც საერთო სახელმწიფოებრივი საქმეა და იმათ მოსაწყობათ მთელი მთავრობა უნდა ზრუნავდეს, მაგრამ თავის ფარგლებში თვითონ თემი უნდა ზრუნავდეს ამ საქმის მოსაწყობათ თუნდაც შენობის, ბოძებისა და მუშა ხელის გამონახვით.

დემოკრატიული რესპუბლიკა რას ნიშნავს?

თვითმოქმედებას.

წინეთ ხელმწიფე და მისი მთავრობა აკეთებდა ხალხის საქმეს და ეს საქმე კარგათ არ მიდიოდა.

დღეს ყველამ უნდა ვაკეთოთ და კარგათ წავა,—ამაშია დემოკრატიული რესპუბლიკის დანიშნულება.

ჩვენში კი ეს ხშირათ გვავიწყდება და უფრო მივდევთ ანდაზას: ყვავმა თავისი მკვდარი ბახალა ბუს მიუგდო, დიდი თავი გაქვს და შენ იტირეო.

ჩვენც ყველაფერს მთავრობას მივუგდებთ ხოლმე, მისი გასაკეთებელია, თუ ჩვენი, სულ ერთია. ეს მთავრობამ გააკეთოს, ის მთავრობამ გააკეთოს, ყველაფერი მთავრობამ გააკეთოს.

აგვიკიდია ყველას გუდა-ნაბადი ზურგზე და მივდგომივართ მთავრობას კარებზე: შენი საქმეც შენ აკეთე, ჩვენი საქმეც შენ აკეთეო.

მერე ჩვენ რაღა ვაკეთოთ!

ჩვენ უნდა მხართეძოზედ წამოვწვეთ და ვნებივრობდეთ, მაშ რათ გვინდოდა დემოკრატიული რესპუბლიკა!

ასეთ დამღუპველ მიმართულებას დროზედ უნდა მოეღოს ბოლო.

ტელეგრაფი გინდა? ეუბნება ვთქვათ მთავრობა რომელიმე თემს.

— გვინდა, არის პასუხი.

— მაშ მომეცით მუშა ხელი.

— მოიტა თითო მუშაზე ასი თუმანი დღეში.

ამგვარი მაგალითები არის ჩვენში და ასე საქმე არ გაკეთდება.

დღეს მუშა ხელი ისე ძვირათ ფასობს, რომ არაფრის გაკეთება არ შეუძლია მთავრობას, თუ თვითონ თემი არ დაეხმარა მას მასალით, მუშა ხელით და ფულითაც ზოგ შემთხვევაში.

ქუჩების გაყვანა, ხიდების აშენება მიმოსვლის დარგს შეეხება და თემმა უნდა იკისროს.

როგორც კი შეუდექით თემის საქმიანობის აღნუსხვას, დავინახეთ, რომ ყველგან საჭიროა მუშა ხელი.

ყოველ სამუშაოზე რომ თემმა ქირა გაიღოს, წარმოუდგენელია.

თქვენს ყანა-ვენახში მუშაობისათვის ვინ უნდა მოგცეთ ქირა?

სათემო საქმე ყოველი მოსახლის საკუთარი საქმეა.

ამიტომ თემს უფლება უნდა ჰქონდეს, შემოიღოს შრომის ბეგარა და უბრალო სამუშაოზე თემის საერთო საჭიროებისათვის უსასყიდლოთ გამოიყვანოს თავისი წევრები დრო და დრო და განსაზღვრულ ვადაში.

ერთ დიდ საჭიროებას სოფლისას შეადგენს წყალი.

თემმა უნდა იზრუნოს, რომ სოფელი ზამთარ-ზაფხულ უზრუნველყოფილი იყოს წყალით. თუ წყაროებია სოფლათ, უნდა გააკეთოს. თუ არ არის, მილებით უნდა გამოიყვანოს.

თუ არც ეს მოხერხდება, ჭები უნდა ამოთხაროს სხვა და სხვა ადგილას და სხვა.

ახლა აიღეთ წისქვილები, ადგილ-მამულის სარწყავი არხები, ტყე, სკოლა, საბალახე,—ერთის სიტყვით მარტო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს.

ყოველი ოჯახისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობის საკითხს და მეც მინდა ამ ჟამად ამ საგანზე შევჩერდე.

ჩვენი სოფელი ჯანმრთელობის ნახრით მეტათ უნუგეშო სურათს წარმოადგენს. ყოველგვარ ავათმყოფობას ღრმათა აქვს ფესვები გადგმული.

სანამ ავათმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლაზე გადვიდოდეთ, უნდა მოვიხსენიოთ ორი რამ, რაც დედაა ჩვენში ბევრგვარი ავადმყოფობისა, ესენია ჭაობი და სიბინძურე.

ჭაობების ამოშრობა დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა და ეს უნდა იკისროს რესპუბლიკის ფარგლებში მთავრობამ.

კისრულობს კიდეც,— მიუხედავათ მეტათ მძიმე პირობებისა და მრავალი საქმისა მთავრობა კიდეც შეუდგა ამ საქმეს.

ამ დღეებში გაზეთებშიაც იყო გამოცხადებული, რომ მთავრობა უკვე შეუდგა ფოთის ჭაობების ამოშრობის საქმეს, რაც არათუ გააჯანსაღებს იმ მხარეს, არამედ აუარებელ ადგილ-მამულსაც მისცემს რესპუბლიკის მცხოვრებთა დასასახლებლათ.

რასაც მთავრობა აკეთებს დიდ ფარგლებში ის თემმა უნდა გააკეთოს თავის პატარა ფარგლებში.

მთავრობას არ შეუძლია ყოველი პატარა ჭაობის ამოშრობა ამა თუ იმ სოფელში ან სოფლის განაპირას. ეს უნდა იკისროს თემმა.

ის ზღაპარი, ვითომ ხილი, ცუდი წყალი და გლახა საჭმელი აჩენდეს დამპალ ციებას, დიდი ხანია უარჰყო მეცნიერებამ,

ღღეს დამტკიცებულია, რომ დამპალი ციების გამავრცელებელი ერთგვარი ჭაობის გრძელფეხა კოღოა.

როდესაც ასეთი კოღო ციებიანის სისხლით გაძღება, სისხლთან ერთად მის სხეულში გადადის მალარიის ბაცილები. ესენი საშინლათ მრლავდებიან კოღოს კუჭსა და სანერწყვე ჯირკვლებში. ასეთი კოღო რამდენ ადამიანსაც დაჰკბენს იმდენს გახდის მალარიით ავათ.

შემჩნეულია რომ დამპალი ციება უფრო იქა ვრცელდება, სადაც ჭაობია.

მაშ რა კავშირია ჭაობსა და კოღოს შორის?

ის კავშირია, რომ კოღო მრავლდება ჭაობებში. ჭაობის ნაპირას სდებს კვერცხებს. აქედან იჩეკება მატლი, რომელიც დაცურავს წყალში. მატლიდან გამოდის კოღო.

ცხადია, თუ გინდათ მალარიას ებრძოლოთ, უნდა მოსპოთ კოღო. ამისათვის კი ერთი საუკეთესო საშუალებაა ჭაობების ამოშრობა. თემი უნდა ცდილობდეს ყოველი თავისი ჭაობის ამოშრობას.

უნდა გასჭრათ არხები ამ მიზნით საკუთარის ძალღონით და არ უნდა უცადოთ, მთავრობა მოვა და ის გააკეთებსო.

ვიცი ერთი სოფელი კალოსოდენა ჭაობია შუაგულში.

გამოზაფრლდება თუ არა, ნახევარი სოფელი დაფენილია.

— რა დაგემართა? ეკითხებით.

— ციებ-ცხელება, ბატონო, ციებ ცხელება. ამოგვხოცა ამ ტბამ ეს ეს არის! გიპასუხებს ყველა. თქვენ ქრისტიანებო! მიმხვდარხართ, რომ თქვენი ამოხოცვის მიზეზი ეს პატარა ჭაობი ყოფილა და ნუ თუ მთელ სოფელს მისი ამოშრობა არ შეგიძლიათ!

რასაკვირველია, შეუძლიათ, მაგრამ ხომ იცით დაუდეგრობა.

თემმა ძალდატანებით უნდა გამოიყვანოს თავისი წევრები და გააკეთებინოს ის, რისი გაკეთებაც შეუძლიათ, რაც მათი მოვალეობაა.

მარტო ჭაობის ამოშრობაც არა კმარა მალარიასთან საბრძოლველათ. სხვაც ბევრი რამ არის საჭირო, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

ჯანმრთელობისათვის ერთი უდიდესი მნიშვნელობა აქვს სისუფთავეს.

ჩვენი ხალხისთანა ბინძური ცოტა უნდა იყოს დედამიწის ზურგზე.

ჩვენი სოფლის ხალხი საცვლებს არ დაირეცხავს, სანამ ზედ არ შემოაცვდება. კომუნისტებს დავსცინით, რუსეთში ტილი გაამრავლესო, და ჩვენ კი ტილიანი არა ვართ!

დაიარეთ გერმანელთა ახალშენები ჩვენში, დუხაბორების სოფლები ახალქალაქის მაზრაში, ყოველ სოფელშია აბანო და კვირეში ერთხელ ყოველი ადამიანი იბანს ტანს შიგ. კვირა დღეს ახალი საცვლებით გამოდის ყველა.

ჩვენს სოფლებში კი აბანო არც კი იციან რა არის.

სოფელს ხშირად მდინარე ჩამოუდის. ხალხს მწვირე სჭამს და ზაფხულში მაინც ჩავიდეს ვინმე მდინარეში და დაიბანოს ტანი! თქვენც არ მომიკვდეთ.

— სადა გვცალია, მუშაობის ალოაო.

სისუფთავისათვის, ჭუჭყის გასაცლელათ ადამიანმა ყოველთვის უნდა მოიცალოს?.

საქმე მოუცლელობაში კი არ არის, არამედ იმაშია, რომ ჩვენ ხალხს სისუფთავე არ უყვარს.

თემმა უნდა აღზარდოს ხალხი, შეაყვაროს მას სისუფთავე.

თემმა ბრძოლა უნდა გამოუცხადოს სოფლის სიბინძურეს და ამისათვის ერთად ერთი საშუალებაა აბანო.

ყოველ თემს აუცილებლათ უნდა ჰქონდეს თითო ან რამოდენიმე აბანო. ორ კვირეში ერთხელ მაინც ტანის დაბანა თბილი წყალითა და საპნით სავალდებულო წესათ უნდა იყოს შემოღებული თემში და ამ წესის დარღვევისათვის ჯარიმაც უნდა იყოს შემოღებული არა ფულით, არამედ სავალდებულო სამუშაოს ზედმეტი დღეებით.

თემის გამგეობა ამავე დროს ადგილობრივი მთავრობაც არის და ძალდატანება კანონიერის გზით, სავალდებულო დადგენილების სახით მას არა თუ შეუძლია, ეს მისი უფლება არის.

სანამდის სისუფთავის აუცილებლობა და მისი სიყვარული ძვალ-ბილში არ გაუჯდება ჩვენს ხალხს, მანამდე ჯანმრთელობასა და ხალ-ხის გაჯანსაღებაზე ლაპარაკი სრულებით მეტია.

ივ. გომართელი.

დემოკრატია და თვითმართველობა.

დემოკრატია უთვითმართველობოდ წამროუდგენელია, ისე რო-გორც თვითმართველობა უდემოკრატიოდ. დემოკრატიას საფუძველი და აზრი თვიმართველობაში აქვს. იგი მაზე შენდება და მაზე უნდა აშენდეს. თვითმართველობა დემოკრატიაში იშლება, დემოკრატიაში ნახულობს თავის არსებობის და განვითარების პოლიტიკურ უზრუნ-ველყოფას. ბალშევიკებმა დემოკრატიის შემუსვრით თვითმართველობა შემუსრეს და თვითმართველობის შემუსვრით—დემოკრატია.

ამიტომ დემოკრატია და თვითმართველობა არა თუ განუყრელი მოკავშირენი არიან ხალხის სახელმწიფურ ცხოვრებაში, როგორც ერთი მწერალი ამბობს: ისინი წარმოადგენენ ერთიერთმანეთის დამატებას, ერთიერთმანეთის ორგანიულ შეზავებასა და შედუღებას.

დემოკრატია და თვითმართველობა ლოლიკურათ და პოლიტიკურ-საზოგადოებრივათ ორი სხვა და სხვა მოვლენა როდია. დემოკრატიაში თვითმართველობაა, თვითმართველობაში დემოკრატიაა. ეს არსებითად ერთი დიადი სახელმწიფური, სოციალური და კულტურული შემოქმე-დებაა, ერთი გაორმაგებული საზოგადოებრივი მოვლენაა, ერთი პრო-ცესია.

მაგრამ დემოკრატიის და თვითმართველობის ამგვარი გაგება და განმარტება ჯერ კიდევ არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობის რეალურ გამოხატულებას. და ეს ითქმის არა მარტო დემოკრატიაზე ჩვენში, სადაც ხალხი ეხლახან განთავისუფლდა და თავის უფლებას და დამოუკიდებლობის ბჭეს ხმალ ამოწვდილი იცავს გადამთიელთაგან, არამედ სხვა უფრო ისტორიულ დაწინაურებულ დემოკრატიულ ქვეყნებზედაც, სადაც ხალხი დიდიხანია მოინათლა თავისუფლების ემბაზში და სრულიად უზრუნველყოფილია შინ და გარეთ.

საქართველოს დემოკრატიამ თავიდანვე აუღო ალღო თანამედროვე ცხოვრების მაჯისცემას და თვითმართველობა აამუშავა, როგორც თავის ბუნებრივი დასაყრდნობი, თავისი ძლიერების საფუძველი და მთელი ქვეყნის ამაღორძინებელი ძალა. ჩვენ ვაღიარეთ თვითმართველობის ძირთადი უფლებები, რომელთაც სულ მალე კონსტიტუციური სიმტკიცე მიეცემათ.

მაგრამ თვითმართველობის ამ ძირითად უფლებას განსახიერება უნდა ცხოვრებაში და მთელი მისი აწინდელი შემოქმედება და მოღვაწეობა სწორედ ისე არის და ისე უნდა იყოს მიმართული, რომ თავისი დიდი უფლება განახორციელოს და თავისი დიდი დანიშნულება ხალხის და დემოკრატიის წინაშე პირნათლად შეასრულოს.

მარტო დემოკრატიის და თვითმართველობის **თქმა** არ კმარა, საჭიროა ჰქმნა, საქმე, საჭიროა ცხოველმყოფელი შემოქმედება ცხოვრების გულში მათ ჩასაქსოვად და განსახორციელებლად. კარგს დემოკრატიას კარგი თვითმართველობა ახლავს და ამშვენებს.

უნდა იცოდეთ, მრავალ თანამედროვე დემოკრატიაში თვითმართველობა შეზღუდულია. მხოლოდ ზოგიერთ პატარა რესპუბლიკაში არის მოპოებული თვითმართველობის ფართო და დამაკმაყოფილებელი უფლება. განსაკუთრებით შვეიცარიის გერმანული კანტონები უზრუნველყოფენ სავსებით თვითმართველურ-კომუნალურ კავშირთა უფლებებსა და ავტონომიას.

თვითმართველობას დემოკრატიაში თავის საკუთარი განვითარებული და ჩამოყალიბებული უფლება უნდა ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას და მის განვითარებას თავისთავად ვერ უზრუნველყოფს, ვერ დაიფარავს ვერც მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა (პარლამენტარული დემოკრატია), ვერც მოსამართლეთავის კანონის „კანონიერების“ განხილვის უფლების მინიჭება (ხელმწიფებაგანაწევრე-

ბული დემოკრატია) და ვერც რეფერენდუმი შვეიცარიული დემოკრატიისა.

საქართველოს თვითმართველობამ უნდა დაამტკიცოს, რომ იგი ასულა დემოკრატიის თანამედროვე დანიშნულების სიმაღლეზე. მან უნდა დაანახოს მთელს ქვეყანას, რომ თავის უფლებას გონიერად მოიხმარს; მოიხმარს სწორედ ხალხის საკეთილდღეოდ, დემოკრატიის გასაძლიერებლად და ჩვენი დემოკრატიულ-რესპუბლიკანური სახელმწიფოებრივობის გასამტკიცებლად.

ნ. ელიანი.

საქართველოს კონსტიტუცია და ადგილობრივი მმართველობა.

სულ მალე დამფუძნებელი კრება შეუდგება კონსტიტუციის პროექტის განხილვას. სხვათა შორის ამ პროექტში არის ერთი თავი (მეათე, მუხლები 116—119), რომელიც ეხება **ადგილობრივ მმართველობას.** სასურველია ამ საკონსტიტუციო პროექტს კარგად ჩაუკვირდეს ჩვენი მკითხველი, რომ სავსებით გაითვალისწინოს მისი მნიშვნელობა და სიავ-კარგე. მოგვყავს აქ ეს თავი კონსტიტუციის პროექტიდან. ამასთანავე მოგვყავს ამ თავის განმარტება, წარმოდგენილი საკონსტიტუციო კომისიაში მისი წევრის ბ. მელ. რუსიას მიერ.

თავი მეათე

ადგილობრივი მმართველობა.

მუხლი 111

ადგილობრივი მმართველობა განაგებს ადგილობრივ მართვა-გამგეობის და მეურნეობის საქმეებს თავის ტერიტორიის ფარგლებში.

მუხლი 112

ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაცია, უფლება-მოვალეობა და მართვა-გამგეობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 113

ადგილობრივ მმართველობას უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილება თანახმად კანონისა.

მუხლი 114

ადგილობრივი მმართველობა ირჩევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციონალი საარჩევნო წესით.

მუხლი 115

ადგილობრივ მმართველობის დადგენილება და განკარგულება შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს წესით.

მუხლი 116

მთავრობის ცენტრალ ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩეროონ ადგილობრივ მმართველობის დადგენილება და განკარგულება, თუ ეწინააღმდეგება კანონს. წესი და პირობა შეჩერებისა განისაზღვრება კანონით.

მუხლი 117

ადგილობრივი მმართველობა მართვა-გამგეობის საქმეში ემორჩილება მთავრობის ცენტრალ ორგანოებს.

მუხლი 118

იმ საგნებს, რომლის შესახებაც ადგილობრივ მმართველობის დადგენილება დამტკიცებულ უნდა იქნეს ცენტრალ ხელისუფლების მიერ განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 119

ადგილობრივ მმართველობას ენიჭება საბიუჯეტო უფლება, განსაზღვრული ცალკე კანონით.

განმარტებითი ბარათი.

კონსტიტუციის პროექტის ამ თავის შემუშავების დროს გამოვდიოდით იმ შეხედულობიდან, რომ ადგილობრივი მმართველობა—ქალაქისა და ეროვნისა—სახელმწიფო ხელის უფლებად უნდა იქნეს აღიარებული; რომ ის საქმე, რომლის გასაკეთებლად ადგილობრივი მმართველობა არის მოწვეული, არაფრით არ განირჩევა იმ საქმისაგან, რომელსაც სახელმწიფო აკეთებს. კიდევ მეტი—ეს მმართველობა ერთად ერთი ადგილობრივი ორგანოა ცენტრალი ხელისუფლებისა. მის მოვალეობას შეადგენს განაგოს ადგილობრივ არამც თუ მეურნეობის ყოველი დარგის საქმეები, არამედ აგრეთვე მართვა-გამგეობის საქმეებიც თავის ტერიტორიის ფარგლებში. ამ თვალსაზრისით ადგილობრივი მმართველობა განუყოფელი შემადგენელი ნაწილია სახელმწიფოს მთელი შენობისა.

ამ გვარათ უარყოფილია ის შეხედულება, თითქოს არსებობდეს სახელმწიფო ინტერესებისაგან განცალკევებული ადგილობრივი სარგებლობა და საჭიროება, რომლის მოგვარება ენდობოდეს „თვითმართველობებს“ და ამასთანავე სახელმწიფოს ჰყავდეს ადგილობრივ ცალკე თავისი ორგანოები სახელმწიფო ფუნქციების შესასრულებლათ. ეს უკანასანელი შეხედულება ემყარებოდა ადგილობრივი და სახელმწიფოებრივ ინტერესების დაპირდაპირებას და მოითხოვდა, რომ ადგილობრივ მმართველობის ორგანოებმა უნდა განაგონ მხოლოდ სამეურნეო საქმეები, რომელთაც ვიწრო ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ. ჩვენი ახალგაზრდა რესპუბლიკის კანონმდებლობამ გადასცა ადგილობრივ მმართველობას საშეურნეო საქმეებთან ერთად ადმინისტრაცია და საერთოდ მართვა-გამგეობის საქმეები და ამნაირი გადაჭრით დაადგა პირველ ზემოთ ნაჩვენებ გზას. ეს გზა ნათლად უჩვენებს თუ რაზედ უნდა იქნეს დამყარებული ჭეშმარიტი დემოკრატიული წესწყობილება, სად არის ის საძირკველი, რომელზედაც უნდა აშენდეს სახელმწიფოს მთლიანი და მტკიცე შენობა. სახელმწიფოსთვის ეს საძირკველი არის ახალი თემი, ეროვნა და განახლებული ქალაქი. ამიტომ კომისიამ თვით სახელი „თვითმართველობა“ შეუფერებლად იცნო ამ ახალი მიზნების მიხედვით. მისი ინტერესი და მუშაობა არამც თუ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესს და მუშაობას, არამედ ადგილობრივ მმართველობის მთელი მოქმედება სახელმწიფოს მოქმედებაში ორგანიულათაა ჩადუღებული; სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეების მაწარმოებელია ადგილობრივად;

ამიტომ „თვითმართველობის“ მაგიერ უფრო შესაფერისია სახელწოდება „ადგილობრივი მმართველობა“.

ამ გვარათ პროექტის პირველი მუხლის ძალით ადგილობრივი მმართველობა თავის ტერიტორიის ფარგლებში სახელმწიფოს ერთად-ერთი წარმომადგენილია, სახელმწიფო ხელის-უფლების ერთად-ერთი ადგილობრივი ორგანოა, რომელიც იმავე დროს განაგებს მეურნეობის ყოველ დარგს თავის ტერიტორიის ფარგლებში.

რაც შეეხება მის ორგანიზაციას, უფლება-მოვალეობის და მართვა-გამგეობის წესს, ყველა ეს იქნება განსაზღვრული ცალკე კანონით (საერობო და საქალაქო დებულებით).

ცხადია, რაც უნდა დაწვრილებით იქნას შემუშავებული ადგილობრივი მმართველობის კანონმდებლობა, შეუძლებელია ის ამოიწუროს და ყოველი მხარე აღინიშნოს. ამიტომ საჭიროა ადგილობრივ მმართველობას თვითონ ჰქონდეს სავალდებულო დადგენილების გამოცემის უფლება. ცხადია კანონმა უნდა განსაზღვროს ფარგლები სავალდებულო დადგენილებისა. ამ უფლებით ადგილობრივი მმართველობა თვითონ ხდება კანონმდებელი; ეს უფლება მეტად მნიშვნელოვანია და იგი ეხება მუნიციპალური ცხოვრების მრავალ მხარეს.

თავის თავად ცხადია, დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც მთელი ძალა-უფლება დემოკრატიის, ხალხის ხელშია—ადგილობრივ მმართველობათა ორგანოები ვერ დაინიშნებიან ზევიდან—არამედ არჩეულ უნდა იქმნენ ხალხის მიერ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით პროპორციულ სისტემით.

შემდეგი საკითხი პროექტისა ეხება დამოკიდებულებას, ადგილობრივ მმართველობასა და ცენტრალური ხელისუფლებას.

ერთი მხრით თუ მიეცა უფლება მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს მუდამ ჩაერიონ ადგილობრივ მმართველობის მუშაობაში, ყოველ მის დადგენილებასა და განკარგულებაში არა მარტო კანონიერების მხრივ, არამედ მიზანშეწონილობის მხრითაც, ერთი სიტყვით დააყენოს ეს ორგანოები ცენტრალური ორგანოების მუდმივი მზრუნველობის ქვეშ.—ამით ჩვენ ჩავკლავდით ადგილობრივ მმართველობას დასაწყისშივე და შეუძლებლათ გავხდიდით მის მუშაობას.

ამიტომ პროექტი გადაჭრით მოითხოვს, რომ ადგილობრივ მმართველობას მიეცეს სრული შეძლება გამოიჩინოს უნარი აღმშენობლობისა, მას მიეცეს ფართე ასპარეზი შემოქმედებითი მუშაობისა. მმართველობის ცენტრალურ ორგანოებს უფლება არ აქვთ გააუქმონ ადგი-

ლობრივ მმართველობის დადგენილება ან განკარგულება. ეს შეუძლია მხოლოდ სასამართლოს, უკეთუ დადგენილება და განკარგულება ეწინააღმდეგება კანონს. სასამართლო ეხება ადგილობრივი მმართველობის დადგენილებას მხოლოდ კანონიერების თვალსაზრისით. რაც შეეხება მიზანშეწონილებას, ამის ერთათ-ერთი მოსამართლე თვითონ ადგილობრივი მმართველობაა და მეტი არავინ.

მეორეს მხრივ შეუძლებელია სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით დაშვებულ იქნას რომ ადგილობრივი მმართველობის დადგენილება და განკარგულება ეწინააღმდეგებოდეს კანონს, არღვევდეს მას და ცენტრალურ ხელის-უფლებას არ ჰქონდეს არავითარი უფლება ამის საწინააღმდეგოდ. უპირველესად აღსანიშნავია მმართვა-გამგეობის სფერო. აქ, როგორც ზევით იყო აღნიშნული, თავის ტერიტორიის ფარგლებში ადგილობრივი მმართველობა არამც თუ განაგებს მეურნეობის ყოველ დარგს, არამედ ის იმავე დროს ერთად-ერთი წარმომადგენელია სახელმწიფოსი მართვა გამგეობის საქმეებში; მის გარეშე არ არსებობს სხვა ორგანო, გამტარებელი ცენტრალურ ხელის უფლების პოლიტიკისა მართვა-გამგეობის სფეროში; სწორედ აქ არის საჭირო ის ერთსულოვანება, ის სიმარტივე, დაუყოვნებლობა და სიმტკიცე, რომელიც ახასიათებს მართვა-გამგეობის საქმეს. სწორეთ ამიტომ, მხოლოდ მმართვა-გამგეობის საქმეში, პროექტის აზრით, ადგილობრივი მმართველობა ემორჩილება მთავრობის ცენტრალ ორგანოებს; ცენტრალი მთავრობის განკარგულება მართვა-გამგეობის საქმეში სავალდებულოა ადგილობრივი მმართველობისათვის. გარეშე ამისა ცენტრალ ხელის უფლებას შეუძლიან მხოლოდ შეაჩეროს და ისიც კანონით განსაზღვრულ პირობით და წესით ადგილობრივ მმართველობის დადგენილება და განკარგულება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს. აუცილებელი პირობა ასეთი შეჩერებისა იქნება გადაცემა საქმისა სასამართლოსათვის განსაზღვრულ ვადაში და თუ ესეთი არ გადაეცა სასამართლოს, აღნიშნული განკარგულება ან დადგენილება თავის თავათ შედის ძალაში.

არის გამონაკლისი, როდესაც ადგილობრივი მმართველობის დადგენილება დამტკიცებული უნდა იქნეს ცენტრალ ხელის-უფლების მიერ. როდესაც კითხვის შეცდომით გადაწყვეტა მძიმე და გამოსავალ პირობებში ჩააყენებდა მუნიციპალიტეტს, ძირიანათ შეარყევდა მის ნივთიერ მდგომარეობას ამ შემთხვევაში შეცდომა იქნებოდა არ მიგვეცა ცენტრალ მთავრობისათვის უფლება ადგილობრივი მმართველობის ამ გვარი დადგენილების დამტკიცებისა ანუ უარყოფისა.

ასეთი საგნებია, მაგალითად, სესხის აღება, ან მმართველობის უძრავი ქონების გასხვისება განსაზღვრულ პირობების გარეშე. ასეთი შემთხვევა, როცა ადგილობრივ მმართველობათა დადგენილება უნდა დამტკიცდეს სახელმწიფოს ცენტრალ ორგანოების მიერ, სასტიკად უნდა განისაზღვროს კანონით.

ასეთია ის გზა, რომელსაც უნდა დაადგეს პროექტის აზრით რესპუბლიკის კანონმდებლობა ადგილობრივ მმართველ ობის შესახებ. ეს გზა ფართო ასპარეზს აძლევს ადგილობრივ მმართველობას აღმშენებლობითი მუშაობაში, ძირს გაუმაგრებს და ააყვავებს მას და მასთან ერთად ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომლის ქვაკუთხედი და საძირკველი ადგილობრივი მმართველობა არის.

დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო
კომისიის წევრი **მ. რუსია.**

განმარტებითი ბარათი

სახელმწიფო ბიუჯეტისა 1919—20 წლისათვის.

როდესაც საბიუჯეტო კომისია შდუდგა ფინანსთა მინისტრის მიერ წარმოდგენილ სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას, ის არსებულ ეკონომიურ-ფინანსიურ პირობებს უკვე არ შეესაბამებოდა; ამის მიზეზი არის ის, რომ ცხოვრება საშინელი სისწრაფით განიცდის ცვალებადობას ამ სფეროში. კომისიას არ შეეძლო არ მიეღო მხედველობაში დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონები და დეკრეტები ხარჯის და შემოსავლის შესახებ. მაგრამ კანონების და დეკრეტების განხორციელებას ისეთი სისწრაფით მოითხოვდა ცხოვრება, რომ კომისია იძულებული იყო შეჩერებულიყო რომელიმე დატაზე. კომისიამ აირჩია ასეთ დატად 1 იანვარი 1920 წ.

ამგვარად, ყველა იმ დეკრეტების მიხედვით, რომელიც დამფუძნებელ კრებამ მიიღო 1920 წლის 1-ლ იანვრამდე, შედგენილი არის ბიუჯეტი

მთელი სახელმწიფოს გასავალი შეიცავს 1.960,490.798 მანეთს. ბევრი არაჩვეულებრივი პირობები იწვევს ხარჯის გადიდებას.

მთავრობის საქმეთა მმართველობის გასავალ ჯამში შედის ის საოპერაციო თანხები, რომელიც დამფუძნებელ კრების დადგენილებით გადაეცა მთავრობას მის განკარგულებაში. რადგან ეს თანხები (მთავრობის საქმეთა მმართველობის) §§-ით იყო გატარებული, ბიუჯეტშიაც ასე დარჩა. გასავალში არ შესულა მომარაგების სამინისტროს ხარჯები, რადგან, მას, როგორც ახალ დაარსებულს, არ წარმოუდგენია ჯერ თავისი შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა. საბიუჯეტო კომისიამ ამის შასახებ რამდენჯერმე მიმართა სამინისტროს. კომისიას აქვს ცნობა, რომ სულ ახლო მომავალში მომარაგების სამინისტრო წარუდგენს თავის ხარჯთ-აღრიცხვას დამფუძნებელ კრებას და მაშინ კომისიასაც შეძლება მიეცემა ამ სამინისტროს ხარჯები დაუმატოს გასავალს.

რაც შეეხება შემოსავალს, კომისია დიდ შემოსავალს მოელის სახაზინო ქონებათა თანხებიდან (№ 5) და მთავრობის სამეურნეო (მომარაგების სამინისტრო) ოპერაციებიდან (№ 9). მომარაგების სამინისტრომ კომისიას წარმოუდგინა ცნობები თავის ოპერაციების შესახებ. ამ ცნობებს კომისია მოახსენებს დამფუძნებელ კრებას თავის მოხსენების დროს. ამ ცნობების მიხედვით 790 მილიონი მანეთი მრგვალი ციფრით და მეტიც სავსებით მოსალოდნელია ამ ოპერაციებიდან.

მთელი შემოსავალი ნავარაუდევია 1.163,564.485 მან. განსხვავება შემოსავალსა და გასავალს შორის განზრახულია დაიფაროს მთავრობის (მომარაგების სამინისტროს) ოპერაციებიდან.

კომისია იზიარებს ფინანსთა მინისტრის მოსაზრებებს, რომელიც მოყვანილია მის განმარტებითი წერილში და თავის მხრივ გამოსთქვამს შემდეგ სურვილებს:

1. საჭიროა გაბედული ნაბიჯების გადადგმა გადასახადების სისტემის შესაცვლელად ისე, რომ ის იყოს აგებული შემოსავლის საფუძველზე.

2. საჭიროა ჩვენში წარმოების განვითარება, რომ ჩვენი ქვეყანა არ იქნეს მარტო ნედლი მასალის გამზიდავ მხარედ და სხვისი ნაწარმოების მომხმარებელად. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე გამოყენებულ უნდა იქნეს. იქ სადაც თვით სახელმწიფოებრივ და თვითმმართველობის ორგანიზაციებს არ ძალუძს ამ წარმოების მოგვარება, ადგილი კერძო ინიციატივას უნდა მიეცეს.

3. საკუთარი ფულის შექმნა დიდად შეუწყობს ხელს ჩვენ ფინანსიურ მდგომარეობას.

4. სავსებით უნდა იქნეს დაცული სახელმწიფოს ერთი კასის სისტემა. ყველა შემოსავალი თავს უნდა იყრიდეს ერთ სახელმწიფო კასაში; თვითეულმა უწყებამ საჭირო საოპერაციო თანხები წინასწარ უნდა გამოითხოვოს.

სასოფლო-სამეურნეო ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებათა ურთიერთობა.

საქართველოს სასოფლო მეურნეობის განვითარების საქმეს ამ ჟამად ორი დაწესებულება ემსახურება: მიწადმოქმედების სამინისტრო და ერობა. ერთსაც და მეორესაც მიზნათ აქვთ მთელი რიგი სხვა და სხვა გვარ საშუალებათა, რომლის შემწეობითაც რამოდენიმედ მაინც უნდა გამოკეთდეს მომავალში ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ერთი უდიდესი დარგი—სოფლის მეურნეობა. საჭიროა ამ ორ მიმართულებათა შორის საზღვრის გაყვანა, საჭიროა გამოირკვეს, რა ადგილი უნდა ეკუთვნოდეს ამ ორ მხარეს, რომ განსაზღვრულ კომპეტენციის და მოვალეობის მიჩენით თავიდან ავიცილოთ ერთის მხრივ შესაძლო გაუგებრობა ერთსა და იმავე დარგში მომუშავე ორგანიზაციების შორის და მეორეს მხრივ არა ეკონომიური განაწილება შრომისა და მომქმედ ძალებისა.

ერობა ხალხის თვითმართველობის ორგანიზაციაა, და, როგორც ასეთი, უნდა იყოს ხალხის ეკონომიურ აღორძინების უმთავრესი მატარებელი და მოჭირისუფლე; მას უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე უპირატესობა აგრონომიულ ღონისძიებათა განხორციელებაში; ეს არის ჩვენი მტკიცე რწმენა, რომელიც გვაერთიანებს ყველას, ვისაც რაოდენიმედ მაინც უმუშავნია საერობო აგრონომიულ ასპარეზზე.

ამავე აზრს იზიარებს მიწადმოქმედების სამინისტროც. იგი გულწრფელად ცდილობს ჩვენს ნორჩ თვითმართველობათა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კავშირის დაჭერას, მათთან ერთად სვლას სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებათა განხორციელებაში. თვით ის ფაქტი, რომ მიწადმოქმედების სამინისტროს მოქმედების ქვა-კუთხედი, მისი აგრარული რეფორმა ადგილობრივ ცხოვრებაში გასატარებლად ამ ერობების ხელშია გადაცემული, აშკარად მოწმობს, რომ ეს სამინისტრო არსებითად და მჭიდროდ უკავშირდება ერობებს.

ასეთივე გეზია აღებული იმ საქმეშიაც, რომელიც ჩვენ ეხლა გვაინტერესებს.

აგრონომიულ დახმარების—(ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით)—საქმე უმთავრესად ადგილობრივ თვითმართველობის კომპეტენციაა; მთავრობა, ე. ი. მიწადმოქმედების სამინისტრო, უმეტესს შემთხვევაში იტოვებს მხოლოდ ხელმძღვანელობის როლს. მართლადაც და თუ ჩვენ

გავეცნობით იმ დებულებას, რომელიც საფუძვლად უდევს ეგრ. წოდ. სამინისტროს სოფლის მეურნეობის და სახელმწიფო მამულთა განყოფილებას, ჩვენ დავინახავთ, რომ პრინციპი მჭიდრო თანამშრომლობისა ერობებთან, სავსებითაა დაცული.

აგრონომიული დახმარება შეიძლება გაყოფილ იქმნას სამ უმთავრეს მომენტად: 1.—პირდაპირი აგრონომიული დახმარება; 2—სასოფლო-სამეურნეო განათლება და 3—სასოფლო-სამეურნეო საცდელი საქმე.

ამავე პრინციპით დაარსებულია სამინისტროსთან სამი სექცია, რომელნიც ამ საქმეს განაგებენ. ვნახოთ, როგორია ამ სექციების დანიშნულება და რა გვარად არის აქ ერობებთან თანამშრომლობის პრინციპი დაცული.

1. **პირდაპირი აგრონომიული დახმარება.** სამინისტროს ეკისრება: ა)—მიაწოდოს რჩევა-დარიგება საერობო დაწესებულებათ და მის აგრონომიულ პერსონალს საორგანიზაციო და ტეხნიკურ საკითხებში და საჭიროებრისამებრ გზავნოს თავისი სპეციალისტები ადგილობრივ დასახმარებლად;

ბ)—მოაწყოს კურსები აგრონომიულ პერსონალის და ინსტრუქტორების მოსამზადებლად სოფლის მეურნეობის სხვა და სხვა დარგში.

გ)—დაეხმაროს ერობებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების, თესლის, საწამლებელ მასალის, გაუმჯობესებულ ჯიშის საქონლის, ფრინველის და ყაჭის ჭიის შეძენაში;

დ)—მიიღოს მონაწილეობა პოპულიალურ ლიტერატურის გამოცემაში, რომელსაც წინასწარ განსახილველად გადასცემს საგამომცემლო ბიუროს, რომელიც დაარსებული უნდა იყოს ამ საქმით დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლობით.

ზ)—თვალ-ყური ადევნონ პირდაპირი აგრონომიულ დახმარების ღონისძიებათა განხორციელებას.

ამ რიგათ, სამინისტროს ხელში რჩება, ასე ვსთქვათ, ზოგადი ხასიათის მოქმედება და რაც შეეხება არსებითი მუშაობას, ეს ევალება საერობო ორგანიზაციას, ე. ი. ერობამ უნდა:

ა)—საჭიროებისამებრ გამართოს თათბირები პირდაპირი აგრონომიულ დახმარების საკითხების გამოსარკვევად;

ბ)—განახორციელოს პირდაპირი აგრ. დახმარების ყველა ღონისძიებანი ეკონომიურ საბჭოების და აგრონომიულ პერსონალის საშუალებით და ამ მიზნით: აწყობს გასაქირავებელ და თესლის საწმენდ პუნ-

ქტებს; მანქანების, თესლის, სასუქის, საწამლებელ მასალის საწყობებს და იზიდავს ამ საქმეში კოოპერატივებსაც;

გ) მოაწყოს და განაგოს ხილის და ვაზის სანერგეები, სათესლე მეურნეობა, გაუმჯობესებულ ჯიშის საქონლის და ფრთოსანის პუნქტები და სხვა.;

დ)—მოაწყოს საჩვენებელი მეურნეობა, მინდვრები, ნაკვთები, როგორც მუდმივი, ისე მოძრავი ხასიათისა, აგრეთვე კურსები, თაიბირები, კითხვები და სასოფ. სამეურნეო გამოფენები;

ვ)—მოაწყოს სოფლის მეურნეობის მავნებლებთან წინააღმდეგ ბრძოლა;

და ზ)—ხელი შეუწყოს კოოპერატივების დაარსებას და განვითარებას, რადგან ეს კოოპერატივები შეადგენენ აგრონომიულ მოქმედების საფუძველს.

რომ ყველა ზემოდ ჩამოთვლილ ღონისძიებათა განხორციელებას ჩვენი ახლად შემდგარი ერობები ამ ჟამად ვერ შესძლებენ—ეს აშკარა ყველასათვის, ვინც კი ცოტაოდენად ანგარიშს უწევს სინამდვილეს; ამისათვის ერობებს აკლიათ გამოცდილება, ცოდნა და უმთავრესად კი საღსარი; საჭირო იყო მთავრობის შესაძლო დახმარება. მეორეს მხრივ —სამაზრო ტიპის ერობების შემოღებით თავისთავად აღიძრა საკითხი იმ ორგანიზაციების გაუქმების შესახებ, რომელთაც საგუბერნიო ხასიათი ჰქონდათ. ამ რიგად, თქვენც მოგეხსენებათ,—გაუქმდა ჩვენი საგუბერნიო აგრონომიული ორგანიზაციები, გაუქმდნენ აგრეთვე ყველა ის საგუბერნიო დაწესებულებანი, რომელნიც სამიწადმოქმედო სამინისტროს დაარსების დროს გადავიდნენ მის გამგებლობაში. ასეთი ბედი, სხვათა შორის ეწვია მეღვინეობის და მევენახეობის კომიტეტებს და მათი ადგილობრივი დაწესებულებანი—სანერგეები ჩუმლაყში, კონდოლში და აღაანში, აგრეთვე ოძისის მამული გადავიდნენ ერობების ხელში პერსონალით და კრედიტებით. მხოლოდ ისეთი დაწესებულებანი, რომელთაც არა აქვთ მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა, არამედ თავის გავლენას უფრო ფართე მასშტაბით ახდენენ, მაგალ. საქარის სანერგე და ქუთაისის საბრეშუმო პუნქტი, დარჩნენ სამინისტროს ხელში; მისივე გამგებლობაში რჩება ეგრ. წოდ. მავნებლებთან მებრძოლი ბიუროც, რადგან ამ ჟამად სათანადო პერსონალის უქონლობის გამო შეუძლებელია ამ გვარი ორგანიზაციების სამაზროთ მოწყობა და არსებითად ამ ბიუროს მოქმედება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება.

2.—ამავე პრინციპზეა აშენებული **საცდელ საქმის ორგანიზაციაც.** ამ დარგში სამინისტრო:

ა)—იმუშავებს საერთო გეგმას საცდელი საქმისას რესპუბლიკაში და თავის გამგებლობაში იტოვებს ცენტრალურ და ისეთ ადგილობრივ საცდელ დაწესებულებათ, რომლის მოქმედება და გავლენა ფართო რაიონზეა გავრცელებული, როგორც მაგალ. ტფილისის ბოტანიკური ბაღი, კავკასიური საბრეშუმო სადგური, ცენტრალური სასოფლო სამეურნეო ლაბორატორია, სოხუმის, სოჭის, ოზურგეთის, ქუთაისის და სხვ. საცდელი მინდვრები; მისივე გამგებლობაში რჩებიან აგრეთვე კულტურულ ღირებულების მამულებში გამართული საცდელი დაწესებულებანი (ყარაიაზის, ჭიაურის და სხ.)

ბ)—იწვევს საცდელი საქმის ყრილობებს და თათბირებს;

გ)—ეხმარება ერობებს ამავე დარგში, როგორც საჭირო მიწის გადაცემით, ისე წინასწარ გამოკვლევების მოწყობით და აგრეთე სამოქმედო პროგრამმის და საორგანიზაციო გეგმის შემუშავებით;

დ)—თვალყურს ადევნებს საერობო საცდელ დაწესებულებათა მოქმედებას და ეხმარება რჩევა-დარიგებით საცდელ საქმის მეთოდიკის დამუშავებაში;

3)—ბეჭდავს და აქვეყნებს ყველა საცდელ დაწესებულებათა ნაშრომებს;

ამავე დარგში ერობა:

ა)—მიწადმოქმედების სამინისტროს დახმარებით აწყობს წვრილ რაიონულ საცდელ დაწესებულებებს, მართავს კოლექტიურ ცდებს და გზავნის თავის წარმომადგენელს ცენტრალურ და რაიონულ საცდელ დაწესებულებათა საბჭოებში.

3—სასოფლო-სამეურნეო განათლება.

აქ სამინისტრო:

ა)—იმუშავებს საერთო გეგმას სასოფ.-სამეურნეო განათლების მოსაწყობათ და იტოვებს თავის გამგებლობაში საშუალო ს. სამ. სასწავლებლებს და იმ დაბალ, პრაქტიკულ შკოლებს, რომელნიც არსდებიან სახელმწიფო და კულტურულ ღირებულობის მამულებში;

ბ)—მართავს ინსტრუქტორების და სხვ. აგრონომიულ პერსონალის მოსამზადებელ კურსებს (გრძელს ან მოკლე ვადიანს);

გ)—ეხმარება ერობებს სასოფ.-სამეურნეო სასწავლებლების დაარსებაში და აგრეთვე საზოგადო განათლების შკოლებთან ს.-სამეურნეო განყოფილების მოწყობაში, რისთვისაც აძლევს ერობებს საჭირო მიწას

და მათთან ერთად იმუშავებს სამოსწავლო და სამეურნეო გეგმებს;

დ)—ანხორციელებს ამ სასწავლებლების მეთვალყურეობას და საერთო გამგებლობას.

ერობები კი:

ა)—იღებენ თავის გამგებლობაში, როგორც ადგილობრივ, ისე მთავრობის ხარჯით დაარსებულ დაბალ ს. სამეურნეო სასწავლებლებს, უკანასკნელ შემთხვევაში სათანადო კრედიტებით;

ბ)—ანხორციელებენ შკოლის გარეშე ს. სამეურნეო ცოდნის გავრცელების საქმეს კურსების, კითხვების, საუბრების, სასოფ. სამეურნეო გამოფენების და სხვ. მოწყობით;

და გ)—თავის წარმომადგენელს გზავნიან იმ სასწავლებლების საბჭოებში, რომელნიც მიწადმოქმედების სამინისტროს გამგებლობაში არიან.

ასეა გადაწყვეტილი ზოგადის სახით საკითხი მთავრობისა და ადგილობრივ თვითმართველობათა ურთიერთობის სფეროში. ჩვენ ვამბობთ „ზოგადის სახით“, რადგან უფრო კონკრეტული ჩამოყალიბება ამ ურთიერთობისა შესაძლებელია მაშინ, როდესაც თვით ცხოვრება, სინამდვილე დაგვანახვებს, რამდენად მძლავრი, საქმიან უნარის მატარებელია საზოგადოებრივი ინიციატივა, რამდენად შესძლებს იგი ფრთების გაშლას და რა როლს ითამაშებს იგი ეროვნულ ცხოვრების მსვლელობაში...

აგრ. ი. ლომოური.

არსებული კანონი თემის შესახებ.

ის კანონი, რომელიც დღეს დღეობით არსებობს თემის შესახებ არ არის გამოცემული ქართულ ენაზე; რუსულ ენაზედაც შედარებით ნაკლებია გამოცემული. ამიტომ სრულებით ბუნებრივია, რომ ბევრი თემში არ იცნობს მას და ზოგიერთებმა არც კი იციან რამე მის არსებობაზე. ეხლა, როცა დაისვა საკითხი ახალი კანონის გამოცემის თემის შესახებ, მით უფრო საჭიროა ცოდნა არსებულის. მაშინ ადვილი გასაგები იქნება, რა არ ვარგა არსებულ კანონში და ამიტომ რა უნდა შეიცვალოს. ამის გარდა თემი ოფიციალური დაწესებულებაა და ყველა მასში მო-

მუშავემ უნდა იცოდეს არსებული კანონი ამ დაწესებულების შესახებ. ამის გამო ჩვენ ვფიქრობთ ზედმეტი არ იქნება გავაცნოთ ჟურნალ „ერობის“ მკითხველებს ხსენებული კანონი.

სპეციალური კანონი, სპეციალურად და განცალკევებულათ თემის შესახებ ჩვენ არა გვაქვს. არის საერთო კანონი ერობათა დაწესებულების შესახებ, რომელიც ლაპარაკობს როგორც სამაზრო ერობაზე, აგრეთვე თემის თვითმართველობაზე. ეს არის რუსულ ენაზე გამოცემული ამიერ კავკასიის კომისარიატის მიერ (როცა საქართველო ჯერ ცალკე სახელმწიფოთ არ იყო გამოცხადებული)—„Временное Положеніе о земскихъ учрежденіяхъ въ Закавказьѣ“ („დროებითი დებულება საერობო დაწესებულებათა შესახებ ამიერკავკასიაში“*). ეს საერობო დებულება გამოიცა 25 იანვარს 1918 წელს. იგი წარმოადგენს 65 გვერდიან წიგნაკს, რომელშიაც 187 მუხლია. როგორც ვთქვით ეს დებულება მარტო თემის თვითმართველობის შესახებ კი არ ლაპარაკობს, არამედ ყველა საერობო დაწესებულებათა შესახებ. ამიტომ ამ 187 მუხლთა შორის ზოგი ლაპარაკობს საერთოდ ერობაზე როგორც სამაზრო აგრეთვე სათემოზე, ზოგი მარტო სამაზრო ერობაზე, ზოგი კიდევ მარტო სათემო ერობაზე. ჩვენ რასაკვირველია მოვიყვანთ კანონის იმ დადგენილებებს, რომელნიც თემის მდგომარეობას არკვევენ. ყველა ეს დადგენილებანი ჩვენ შეგვიძლია გავყოთ ხუთ ჯგუფად, რადგან ისინი 5 მთავარ კითხვას ეხებიან. ეს კითხვები არის თემის ფარგალი, თემზე დაკისრებული საქმეები, თემის ორგანიზაცია, თემის ფინანსიური უფლებები და, ბოლოს დამოკიდებულება თემის მაზრის ერობასთან. ეს კითხვები სწორედ ის საჭირბოროტო კითხვებია, რომელიც ებადება ყველას, ვისაც უნდა თემის შესწავლა.

I. თემის ფარგალი.

რა ფარგალში უნდა იმოქმედოს თემის თვითმართველობამ?—„ვოლოსტის“ ფარგალში, აძლევს პასუხს არსებული დროებითი დებულება (მ. 1). მაგრამ ჩვენში ხომ „ვოლოსტი“ არ არის, ჩვენში სოფლის საზოგადოებაა, მაშ როგორ უნდა დაარსდეს თემის თვითმართველობა? ამას კანონი ასე სწყვეტს: მაზრის ერობის ყრილობა ანაწილებს

*) ამ კანონის გარდა გამოიცა ამავე საკითხზე წესები ამ დროებითი დებულების ცხოვრებაში განხორციელების შესახებ. რადგან მთავარი მნიშვნელობა საერობო დებულებას აქვს, ჩვენ უმთავრესად მასთან გავაცნობთ მკითხველს.

მაზრას ვოლოსტებათ. თითო ვოლოსტში უნდა შედიოდეს ერთი ან რამდენიმე მოსაზღვრე სოფლის საზოგადოება. თუ მერმე საჭიროება მოითხოვს შეიძლება დაარსებულ „ვოლოსტის“ გაფართოება ან შემცირება. (წესები საერობო დებულების განხორციელების მ. 1 და მისი დამატება.)

ამრიგათ მაზრის ერობებს ჰქონდათ მინდობილი გამოჭრა იმ ტერიტორიისა, რომელზედაც უნდა დაეწყო მუშაობა თემის თვითმართველობას. როცა 1919 წ. პირველი ყრილობა იყო მაზრის ერობათა წარმომადგენლების, დაისვა ეს საკითხი. ცხარე კამათი იყო. გადაწყვეტილი იყო, რომ მაზრის ერობები მოქცეულიყვნენ ადგილობრივ პირობათა მიხედვით. მართლაც სხვა და სხვა ალაგას სხვა და სხვა ნაირათ მოიქცენ. დასავლეთ საქართველოში თემი გამოსჭრეს სოფლის საზოგადოების ფარგალში, აღმოსავლეთ საქართველოს მეტ ნაწილში თემი რამდენიმე სოფლის საზოგადოებისაგან შესდგება. თბილისის მაზრაში, საცა თემი რამდენიმე სოფლის საზოგადოებისაგან შესდგება, ბოლო დროს ილტვიან იქითკენ, რომ დასავლეთ საქართველოს მიჰბაძონ და თემი სოფლის საზოგადოების ფარგალში გამოსჭრან.

II. რა საქმეები აქვს დაკისრებული კანონს თემისთვის?

კანონი აკისრებს თემს ორგვარ საქმეებს — 1) განსაკუთრებულს და 2) საერთო საერობოს. საერთო დებულების მე-3-ე და 146 მ. მ. ძალით თემის **განსაკუთრებულ საქმეებს** შეადგენს ზრუნვა სოფლის კეთილმოწყობაზე ე. ი. ქუჩების მოწყობა სოფელში და მოკირწყვლა, წყლის მოწოდება, კანალიზაციის გაყვანა, საზოგადო ბაღების გაშენება და სხვა ამისთანა; განაწილება თემის მცხოვრებთა შორის სახელმწიფო და საერობო გადასახადების, რომელიც თემს ჰხვდება წილად; მოწოდება სამაზრო ერობისათვის მისთვის საჭირო ცნობების; კანონთა და მთავრობის განკარგულებათა გამოცხადება ხალხისთვის; ამრჩეველთა სიის წარმოება; საკომლო სიების წარმოება; სამობილიზაციო საქმეები; ყურის გდება, რომ თემის ფარგალში სახლები შენდებოდეს წესიერათ და ნებართვის მიცემა ამისთვის; ყურისგდება სავალდებულო დადგენილებათა ასრულებაზე; პასპორტების მიცემა; ხელშეკრულობათა წინგის წარმოება; მილიციისთვის შეტყობინება თემის ფარგლებში მომხდარ ბოროტმოქმედებაზე და მინამ მოვიდოდეს მილიცია ზომების მიღება დამნაშავეთა დასაჭერათ და მშვიდობიანობის დასაცავათ.

ყველა ეს ჩამოთვლილი საქმეები განსაკუთრებით ეკუთვნის თემს, ე. ი. სწორედ მან და არა სხვა ვინმემ უნდა გააკეთოს ეს საქმეები. ამასთან ამ საქმეებს ის ასრულებს სრულიად დამოუკიდებლივ და მათ შესრულებაში მარტო თითონ არის პასუხის მგებელი.

მაგრამ ამ საქმეების გარდა, როგორც ვთქვით, თემს დაკისრებული აქვს **საერთო საერობო საქმეები**. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ის მარტო თემის ფარგალს შეეხება. ამას ამბობს საერობო დებულების 1 და 2 მ. მ. თემს ევალება ასრულება მართებლობის და მეურნეობის ადგილობრივი საქმეების თავის ფარგალში, სწერია ამ მუხლებში. თუ კი ის შეეხება სხვა თემსაც, ან მთელ მაზრას, მაშინ ამისთანა საერობო საქმე დაკისრებული აქვს მაზრის ერობას და არა თემს. მაშასადამე თემმა არსებითად იმისთანავე საქმეები უნდა აასრულოს, როგორც მაზრის ერობამ, მხოლოდ მარტო თავის ფარგალში. მაზრის ერობამ უნდა გააკეთოს ის საქმეები, რომელნიც მთელ მაზრას შეეხებიან, ყოველმა ცალკე თემმა კი გააკეთოს ის საქმე, რომელიც ეხება მარტო მას და არა მთელ მაზრას. მაგალითად გზა. არის სოფლის გზა, რომელსაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს; მაშასადამე მისი მოვლა თემს ევალება, მაგრამ არის სამაზრო გზა, რომელიც გადის რამდენიმე თემზე ან მთელ მაზრაზე და მაშასადამე მნიშვნელობა აქვს არა მარტო ერთი თემისთვის, არამედ რამდენიმესთვის ან იქნება მთელი მაზრისთვისაც; აი ამისთანა გზას განაგებს სამაზრო ერობა.

მოყვანილ მუხლებიდან გამომდინარეობს, რომ მაგ. სკოლა უნდა იყვეს თემის ხელში, რადგდგან სკოლა ხომ ყოველ ცალკე თემის ფარგალშია და ემსახურება ამ თემის და არა მთელ მაზრის მოსახლეობას. მაშასადამე მასწავლებლის დანიშვა და დათხოვნაც თემის საქმეს შეადგენს. მაგრამ ეს სრულიად მართალი არ არის. არსებობს ერთგვარი **შეზღუდვა**, რომელიც გამოხატულია საერობო დებულების 113 მუხლში პ. 1. იგი ამბობს, რომ **სამაზრო ერობას ეკუთვნის უფლება გაანაწილოს სამაზრო ერობის, ერთი მხრივ და თემის თვითმართველობის მეორე მხრივ შორის საერობო საქმეები. მასვე ეკუთვნის უფლება შესცვალოს მერე ეს განაწილება. რას ნიშნავს ეს?**

კანონს ჰქონდა მხედველობაში, რომ **პირველათ** თემის თვითმართველობანი სუსტნი იქნებიან, რადგან შედარებით ნაკლებია სოფლებში მომზადებული ხალხი, რომელსაც შეუძლია ეხლავე გაუწიოს ხელმძღვანელობა არა მარტო თვით ხალხის მუშაობას, მაგ. გზების გაკეთების დროს, არამედ აგრეთვე სპეციალისტების მუშაობასაც, ე. ი.

მასწავლებლების, ექიმების და სხვა ამათთანა პირთა მუშაობას. ამიტომ კანონს ჰქონდა მხედველობაში, რომ ყველა თემი ვერ იკისრებს თავდაპირველადვე მთელ იმ საქმეების გაძღოლას, რომელიც ზევით იყო ნათქვამი და კანონმა მიანდო მაზრის ერობას იმის გამორკვევა, თუ რა და რა საერობო საქმეები გადაეცეს გასაკეთებლათ თემებს და რა ასრულდეს სამაზრო ერობის მიერ. მანვე მიანდო სამაზრო ერობას, რომ მან, როცა თემი მოიმჯობინებს, მეტი საქმეები ჩააბაროს მას, ან პირიქით, თუ თემს შეძლება არ ექნება ჩაბარებული საქმეები შეასრულოს, ჩამოაცილოს მას ზოგიერთი საქმეები და თითონ გააკეთოს. კანონს ჰქონდა აგრეთვე მხედველობაში, რომ ამ გზით მოხდება ფაქტიურად თანდათანი გამიჯვნა სამაზრო ერობის და თემის შორის უფლება-მოვალეობებში. ამრიგათ თემს აქვს დავალებული არსებული კანონით:

1) თემის განსაკუთრებული საქმეები, რომელნიც ზევით იყო ჩამოთვლილი.

2) საერთო საერობო საქმეები იმდენად, რამდენადაც ეს გადაცემული იქნება მაზე მაზრის ერობის მიერ სამაზრო ხმოსანთა ყრილობის დადგენილებით. აი მაგ. რა საქმეები აქვს მინდობილი თემისთვის თბილისის სამაზრო ერობას: **სასურსათო ნაწილში**—სურსათის შეძენა ერობისათვის, ერობის მიერ მიღებულ სურსათის განაწილება ადგილობრივ მცხოვრებთა შორის; სურსათით დახმარება ერობის და თემის მოსამსახურეთ. **ტეხნიკურში** — ადგილობრივი გზების გაყვანა, სკოლების და საავადმყოფოების შენობების შეკეთება, სახელოსნოების მოწყობა, მიმოსვლის მოწყობა რკინის გზის მახლობელ სადგურიდან თემის ცენტრამდე და საზოგადოთ თემის ფარგალში, ფოსტის დარიგება თემის მცხოვრებთა შორის, წყლის არხების გაყვანა და მოვლა, წყლის განაწილება. როცა ჩამოთვლილ ტეხნიკურ საქმეების შესრულების დროს თემს სჭირია ინჟინერი ან ტეხნიკოსი, ამას თემს ერობა აძლევს, რომელსაც თავის მოსამსახურეთა შორის ჰყავს ინჟინრები და ტეხნიკოსები. **საექიმო დარგში**—სანიტარული მზრუნველობა ე. ი. ყურის გდება სოფლის ეზოების და ქუჩების სისუფთავეზე; ექიმისათვის (ექიმი ინიშნება სამაზრო ერობის მიერ) ცხენის შოვნა სოფლიდან სოფელში გადასასვლელათ (ბოლო დროს სამაზრო ერობამ შეუძინა ექიმს ცხენი ისე, რომ თემი აღარაა ვალდებული იზრუნოს ცხენის შოვნაზე მისთვის); შემუშავება სავალდებულო სანიტარულ დადგენილებების პროექტებისა, რათა მაზრის ერობის ხმოსანთა ყრილობამ განიხილოს ის და დაამტკიცოს, ყურისგდება ამ სანიტარულ წესების შესრულებაზე.

სასკოლოში—სკოლის მთელი სამეურნეო მხარე, ე. ი. ბინის შოვნა, შეკეთება, განათება, გათბობა; სამკითხველოების მოწყობა და გაძღოლა; სასკოლო მზრუნველობა ე. ი. შეგირდების მშობელთა წრის შედგენა, ყურისგდება და ზომების მიღება, რომ ყველა მშობლებმა მისცენ თავისი ბავშვები სკოლაში და რომ ბავშვები მთელი სამოსწავლო სეზონი დაიარებოდენ სკოლაში; გამართვა სოფლებში წარმოდგენების, ლექციების (ლექტორებს სამაზრო ერობა აძლევს) და სხვა ამისთანა. **აგრონომიულში**—ყოველგვარი დახმარების გაწევა სამაზრო ერობის აგრონომიულ პერსონალისთვის, გაძღოლა ერობის მიერ მოწყობილ სამეურნეო იარაღების გასაქირავებელ პუნქტების. **სავეტერინარო ნაწილში**—შეტყობინება საქონლის ჭირზე მაზრის ერობაში ან უახლოეს სავეტერინარო პუნქტში (მაზრის ერობას ჰყავს ცენტრში ვეტერინარი ექიმები და ამის გარდა მაზრის რამდენიმე პუნქტში მოწყობილი აქვს ამბულატორია, საცა ვეტერინარი ექიმი ან ფელშერია), დახმარების გაწევა სავეტერინარო პერსონალისთვის მის მუშაობის დროს. **ფინანსიურ დარგში**—განაწილება თემის მცხოვრებლების შორის ყველა სახელმწიფო და საერობო გადასახადების, რომელიც თემს ხვდება, შეკრეფა ამ გადასახადების, მათი ანგარიში და ერობაში ან ხაზინაში ჩაბარება, მაზრის ერობის ანგარიშში ჯამაგირის მიცემა თემის ფარგალში მომუშავე მასწავლებელთათვის, ექიმთათვის, მილიციონერებისათვის და სხვა (ე. ი. თემი უგზავნის ერობას სიას თემის ფარგალში მომუშავე ერობის მოსამსახურეებზე და მათ ხვედრ ჯამაგირზე, ერობა აძლევს თემის წარმომადგენელს საჭირო თანხას და თემი აქედან ურიგებს ჯამაგირებს ერობის მოსამსახურეთ და უბრუნებს ხელმოწერილ ჯამაგირთა სიას ერობას). **საადგილ-მამულო დარგში**—ზოგიერთ ფონდის ადგილების ეკსპლოატაცია, სოფლის საძოვრების და მინდვრების მოვლა-პატრონობა, დახმარება აგრარულ კომისიებისათვის, აგრარულ რეფორმის გატარება ცხოვრებაში, დახმარება ღალების და იჯარის აკრეფაში. **ადმინისტრაციულში**—მოწყობა და ხელმძღვანელობა სოფლის მილიციის, პასპორტების მიცემა, შეტყობინება მაზრის ერობისათვის სამაზრო მილიციის (რაიონის კომისრის და მის მილიციონერების) მოქმედების ავკარგიანობაზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თანახმად 2 აგვისტოს 1918 წ., 26 იანვრის 1919 წ. და ბოლოს 8 აპრილის 1920 წ. კანონების მთელი მილიცია, რომელიც მაზრაში მუშაობს ორ ნაწილად იყოფა: 1) სამაზრო მილიცია: მაზრის მილიციის უფროსი, მისი თანაწემწე, რაიონის მილიციის უფროსი, უფროსი მილიციონერები და უმცროსი ცხენოსანი მილიციო-

ნერები (ქვეითი მილიციონერები ძალიან მცირე ნაწილს შეადგენენ და ფაქტიურად კანცელარიის ყარაულები არიან და არა მილიციონერები). 2) სასოფლო მილიცია—2 ან 3 თითო სოფლის საზოგადოებაზე. სამაზრო მილიციას განაგებს სამაზრო ერობა, ე. ი. ის ნიშნავს, ის ითხოვს, ის ადევნებს თვალყურს მის მოქმედებებს და სხვა. რაც ეხება სასოფლო მილიციას—1919 წ. 28 იანვრის კანონით სასოფლო მილიციასაც სამაზრო ერობა განაგებს. ეს სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან მაშინ ჯერ არსად არ იყო დაარსებული სათემო თვითმართველობა, ამ უკანასკნელთა დაარსების მერე მოხდა სამაზრო ერობათა წარმომადგენლების ყრილობა, რომელმაც გამოსთქვა ის აზრი, რომ სასოფლო მილიციას უნდა განაგებდეს თემი. ამ ყრილობამვე შეიმუშავა რესპუბლიკის მაზრებისთვის შტატი სამაზრო და სასოფლო მილიციისა. როგორც ჩანს 1919 წ. აპრილის კანონიდან, ეს ხსენებულ ყრილობის მიერ შემუშავებული სამაზრო და სასოფლო მილიციის შტატები დამფუძნებელ კრებას სავსებით მიუღია, მაგრამ არაფერი არ უთქვამს იმის შესახებ თუ ვინ განაგებს სასოფლო მილიციას. ფაქტიურად რამდენადაც ჩვენ ვიცით სასოფლო მილიციას ყველგან განაგებს თემი, ე. ი. ასრულებულია ის, რაც მაზრის ერობათა ყრილობამ დაადგინა. საჭიროდ ვსთვლით აგრეთვე ერთი საკითხი გამოვარკვიოთ: **აქვს თუ არა თემს სასამართლოს საქმეებში ჩარევის უფლება?**

წინათ როგორც ვიცით სოფელში არსებობდა სოფლის სასამართლო, რომელიც ადგილობრივ წვრილ საქმეებს არჩევდა. როცა რევოლიუცია მოხდა და დაარსდა სოფლის კომიტეტები, ამ კომიტეტებმა დაიწყეს იმ საქმეების გარჩევა, რომელსაც სოფლის სასამართლო განაგებდა წინათ. როცა კომიტეტების ნაცვლად დაარსდა თემები, ამათაც პირველ ხანებში დაიწყეს ზოგიერთ ალაგებში სასამართლო საქმეებში ჩარევა. აი მაგ. რას ამბობდა ქუთაისის მაზრის წარმომადგენელი მეხრიკაძე თემთა წარმომადგენლების ყრილობაზე, რომელიც მოხდა ამ წლის თებერვალში ერობათა კავშირის მოწვევით: „თემი იძულებულია ხანდისხან სასამართლოს საქმეებში ჩაერიოს, რადგანაც უკანასკნელი ჯერ ჯეროობით მოუწყობელია; სასამართლოს დახმარებაში ხალხისთვის თემს უარის თქმა არ შეეძლო, ამით ის მხოლოდ სახელს გაიტეხდა და ნდობას დაკარგავდა“ („ერობა“ № 35).

კანონი არ ანიჭებს თემს სასამართლო საქმეების გარჩევის უფლებას. ეს ეკუთვნის ჩვენში, როგორც ყველა მოწყობილ სახელმწიფოში, მარტო თვით სასამართლოს. სოფლის სასამართლო გაუქმებულია

1918 წ. 24 სექტემბერს და ყველა მისი საქმეები მომრიგებელ მოსამართლეებს აქვთ გადაცემული, რომელნიც მაზრის ეროვათა ხმოსნების ყრილობების მიერ არიან არჩეულნი. თემის ჩარევა სასამართლო საქმეებში ამ პირობებში არამც თუ არ არის შესაძლებელი, აღკრძალულიც არის. ეს იქნებოდა სხვის უფლების მითვისება, რაც სასტიკათ აკრძალულია საქართველოში ახლად გამოცემული კანონით პასუხისგებაში გადაცემის შიშით. არც არის ეხლა საჭირო სასამართლოს საქმეებში ჩარევა, რადგან ეხლა სასამართლო დაუახლოვდა ხალხს. წინათ მაზრაში ერთი მომრიგებელი მოსამართლე იყო, ისიც ხალხისთვის გაუგებარ ენაზე აწარმოებდა საქმეებს და თუ გინდოდა მასზე საჩივრის შეტანა ოლქის სასამართლოში უნდა წასულიყავი თბილისში, ან ქუთაისში. ეხლა ყოველ მაზრაში 5, 6, 7 და მეტიც (გორის მაზრაში 11) მომრიგებელი მოსამართლეა, რომელნიც სამშობლო ენაზე იღებენ თხოვნებს და სიტყვიერ განცხადებებს და არჩევენ საქმეს, განსაჩივრებისათვის ყოველ სამაზრო ქალაქში და არა მარტო თბილისში და ქუთაისში. მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობაა მოწყობილი, თანაც ეხლა მომრიგებელ მოსამართლის უფლება გაფართოვებულია, რომ ხალხს ოლქის სასამართლოში არ მოუხდეს სიარული; ისე რომ ეხლა მას შეუძლია მიიღოს გასარჩევათ საქმე ღირებულებით 50.000 მანეთამდე. მომრიგებელი მოსამართლე ეხლა ბევრჯერ სოფელ-სოფელ დადის და ადგილობრივ არჩევს საქმეებს. თემს რასაკვირველია შეუძლიან დაეხმაროს სასამართლოს (მისცეს რჩევა თემის მცხოვრებთ და დაუწეროს საჩივარი, ეცადოს, რომ დავა მცხოვრებთა შორის არ ასტყდეს ან მორიგებით გათავდეს, გაუადვილოს მომრიგებელ მოსამართლეს სოფლებში სიარული ცხენის და ბინის შოვნით და სხვა), მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიითვისოს სასამართლოს უფლებები, თითონ გაარჩიოს საქმეები, გამოიტანოს მსჯავრი და აასრულოს თავისი დადგენილება სასამართლო საქმეზე.

ნ. ასათიანი.

(დასასრული იქნება).

თფილისის მაზრის ეროგბის სტატისტიკური განყოფილების 1919 წლის ანგარიში.

გასული საბიუჯეტო წლის განმავლობაში სტატისტიკურმა განყოფილებამ მთელი თავისი ყურადღება დაამყარა სამი მიზნის ასრულებას. პირველი მიზანი იყო,— შეგროვება და დამუშავება სტატისტიკური მასალებისა, რომელთაც უნდა დაეხასიათებინათ მაზრა სივრცისა, მოსახლეობისა, მიწათ-მფლობელობის და მიწათ-სარგებლობის, სასოფლო მეურნეობის და მცხოვრებთა შორის წერა-კითხვის გავრცელების მდგომარეობის მხრივ. ამ მიზნით სტატისტიკურმა განყოფილებამ პირველადვე დააყენა საკითხი საერთო სასოფლო-სამეურნეო აღწერის შესახებ, მაგრამ შემდეგში, ვინაიდან აგრარული რეფორმა ჯერ დამთავრებული არ იყო მაზრაში, მიატოვა ეს აზრი და გადასწყვიტა შესდგომოდა ამ აღწერის განხორციელებას აგრარული რეფორმის დამთავრების შემდეგ. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ განყოფილებამ ძალა-უნებურად უარი სთქვა ფაქტიური მასალების შეგროვებაზე, სტატისტიკურ განყოფილებას არ შეეძლო, რასაკვირველია, არ შეეგროვებინა ძირითადი სტატისტიკური მასალები მაზრის შესახებ, თავის მიმდინარე მუშაობის დროს. ამიტომ განყოფილებამ მიმართა სათანადო სტატისტიკურ წყაროებს და გამოკრიფა და დაიმუშავა უპირველეს ყოვლისა 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალები, ამ გვარივე მასალები 1916 წლის აღწერისა. ამის გარდა განყოფილების განკარგულებაში იყო მასალები გამოკრეფილი 1897 წლის აღწერის მასალებიდან, გადასახადთა ინსპექციის ცნობები მიწათ-მფლობელობის შესახებ, რომელნიც დამუშავებულ იქმნენ; და კალენდრის ცნობები მცხოვრებთა მოძრაობის და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ფაქტების და მოვლენების შესახებ. მაგრამ კრიტიკული შეფასების შემდეგ, დროს მიხედვით, ყველაზე უაღრესი 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალებისა, სტატისტიკურმა განყოფილებამ შეუძლებლად იცნო ამ მასალების გამოქვეყნება, რადგან მათ შეეძლოთ სრულებით უკულმართი წარმოდგენა შეექმნათ მაზრის თანამედროვე ნამდვილი ვითარების შესახებ. თითონ აღწერა, როგორც ნაწარმოები ომითა და რევოლიუციით გამოწვეული საერთო დაცემის დროს, სავსე იყო დიდი დეფექტებით, თითონ სურათი მაზრის ცხოვრებისა შემდეგ მეტად გამოიცვალა. გამოიცვალა განაწილება მიწის საკუთრებისა, საგრძნობლად გაფართოვდა სახნავ-სათესი და სხვა. ამ რიგად 1917 წლის აღწერის მასალებს ამ ჟამად მარტო შედარებითი მნიშვნელობა აქვთ და ამ მხრივ ეს მასალები გამოყენებული იქნება განყოფილების მიერ მაშინ, როცა მას ექნება უფრო დაწვრილებითი მასალები მოსახლეობის, მიწათ-მფლობელობის და სხვათა შესახებ; რათა მივიღოთ თანამედროვე ცნობები მაზრის ცხოვრების შესახებ, სტატისტიკურმა განყოფილებამ შეადგინა ანკეტა აგრარული კომისიებისათვის აღრიცხვის ფორმით, ყველა სოფლებისთვის, და ამ გზით იმედი აქვს შეაგროვოს მეტად ძვირფასი მასალები ძირითადი ხასიათისა. ამ უფრო თანამედროვე მასალებთან, რომელთაც განყოფილება შეაგროვებს ამ ზაფხულს, მოყვანილი იქმნება შედარებისათვის მასალები ძირითადი ხასიათისა, გამოკრეფილი წინანდელი აღწერების მასალებიდან (განსაკუთრებულ დაბეჭდილ აღრიცხვაში, თბილისის მაზრის ეროობის ყოველწლიური ჟურნალის სახით).

მეორე მიზანი, რომელზედაც მუშაობდა სტატისტიკური განყოფილება, არის მთელი, ეგრედ წოდებული, მომდინარე სტატისტიკა, რომელსაც მიზნათა აქვს ემსახუროს ეროობის ადმინისტრატიულ-სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგის მართველობას. უმთავრესი მიზანი ამ გვარი სტატისტიკური მასალების შე-

გროვებისა და დამუშავებისა-არის ხელმძღვანელობა ერობის ადმინისტრატიული და სამეურნეო ზომების მიღებაში. ამ მხრით სტატისტიკურმა განყოფილებამ:

1. დაიმუშავა მასალები თფილისის მაზრაში დაავადების შესახებ, ყოველ თვიურად და მთელი წლის განმავლობაში (მოკლე შინაარსი ამ სამუშაოსი მოყვანილია ჟურნალ ერობის № 3.)

დაიმუშავა მასალები 1919 წლის მოსავლის შესახებ და მოკლეთ დაახასიათა მაზრა და თემები იმ ხორბლეულობისა და სხვა მცენარეების მიხედვით, რომელნიც მაზრაში მოჰყავთ. მოკლე შინაარსი მოყვანილი იყო ჟურნალ ერობის №№ 1 – 2).

3. შეაგროვა და დაამუშავა მასალები, რომელნიც ეხებიან სკოლების მდგომარეობას მაზრაში.

4. შეეცადა დაემუშავებინა ადმინისტრატიული განყოფილების მასალები, რომელნიც შეეხებიან ბოროტ მოქმედებებს, სტიქიურ მოვლენებს და სხვა, შემთხვევებს, მაგრამ მასალების ნაკლულევანებამ ნება არ მოგვცა დაესრულებია აღნიშნული მხრით მაზრის მდგომარეობა 1919 წელში. ადმინისტრატიული სტატისტიკის დასაყენებლად, სტატისტიკურმა განყოფილებამ შეიმუშავა ახალი ფორმა აღრიცხვებისა რაიონის კომისრებისთვის, რომელიც მიღებულ იქმნა შესასრულებლად ერობის ადმინისტრატიული განყოფილების მიერ.

5. ამუშავებს მასალებსა, რომელნიც სასურსათო განყოფილების მოქმედებას შეეხებიან 1919 - 1920 წლებში. მიმდინარე სტატისტიკის დარგში სტატისტიკურმა განყოფილებამ ჯერ სავსებით ვერ გაშალა თავისი მოქმედება. ეს აიხსნება ერთის მხრივ იმით, რომ ცენტრალური სახელმწიფოებრივი სტატისტიკურ ორგანოს შექმნასთან ერთად, ბუნებრივად დაისვა საკითხი სტატისტიკური ცენტრისა და ერობათა სტატისტიკური ორგანოების კომპეტენციის სფეროების განაწილებისა. ამ მხრივ ამ ჟამად მოხდა შეთანხმება სტატისტიკურ ცენტრსა და ერობათა შორის და განყოფილებას საშუალება მიეცა ჯეროვანად დაეყენებინა მიმდინარე სტატისტიკის საქმე. უახლოეს მიზნად ერობათა კავშირის ცენტრალურ ბიუროს და სტატისტიკურ საბჭოს დასახული აქვთ გაიყვანონ დეკრეტი დაბადების, ქორწინების და სიკვდილის სამოქალაქო რეგისტრაციის შესახებ. ამ კანონის დამტკიცების შემდეგ შესაძლებელი იქნება საჭირო სიმაღლეზე დადგეს მცხოვრებთა ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მაზრაში სანიტარული საქმის ჯეროვანად დასაყენებლად.

ბოლოს, სტატისტიკური განყოფილების მესამე მიზანს შეადგენს მუშაობა ერობის მოქმედებით გამოწვეულ რაიმე საჭიროებისათვის, ერთდროული ხასიათისა. ამ გვარი სტატისტიკური სამუშაო იბადება ყოველთვის, როცა ერობის მართველობის პრაქტიკული საჭიროება მოითხოვს ამა თუ იმ ზომის გატარებას მაზრის ადმინისტრატიულ ან სამეურნეო ცხოვრებაში.

ახალ საბიუჯეტო წელში, სტატისტიკური განყოფილების მუშაობის უმთავრეს ნაწილს შეადგენს იგივე ხასიათის მუშაობა, როგორც წარსულ წელში. ეს სამუშაო შესდგება, უპირველესად ყოვლისა მთელი ერობის მიმდინარე სტატისტიკის წარმოებიდან. შემდეგ სტატისტიკურ სამუშაო წრეში უნდა შევიდეს შეგროვება და დამუშავება ძირითადი ხასიათის მასალებისა, იმ გზით, რომელიც ნაჩვენებია წარსულ საბიუჯეტო წლის ანგარიშში.

უფრო დეტალურათ რომ ჩამოვთვალოთ, სტატისტიკური განყოფილების მუშაობა წარმოგვიდგება შემდეგი სახით:

1. შეგროვება და დამუშავება სასოფლო-სამეურნეო მიმდინარე სტატისტიკური მასალებისა. ამ მუშაობას შეადგენს მოსავლის პირის გამორკვევა (გაზაფხულზე), პურის მოსავლის შედეგების გამორკვევა (ზაფხულში) და ყველა კულტურული მცენარეულობის მოსავლის შედეგების გამორკვევა (შემოდგომაზე).

ეს ცნობები მიუცილებელია სასურსათო განყოფილებისათვის (მოსავლის რაოდენობის აღრიცხვა), და აგრონომიული განყოფილებისათვის (დახასიათება მაზრისა და თემებისა იმ მცენარეულობის მიხედვით, რომელიც მოჰყავთ უმთავრესად, და სასოფლო მეურნეობის სხვა და სხვა დარგების მდგომარეობა).

2. შეგროვება და დამუშავება ფასებისა სასოფლო-სამეურნეო მასალის, საქონლის, მუშა ხელის, და საალმშენებლო მასალისა (ყოველ თვიურად,), სასურსათო, ტეხნიკურ და სხვა განყოფილებათათვის.

3. სტატისტიკური დამუშავება სასურსათო განყოფილების ოპერაციებისა (შესყიდვა-გაყიდვის ოპერაციები, მომხმარებელთა კატეგორიებათ დაყოფით და ფასების მოძრაობა).

4 დამუშავება მასალებისა ბოროტ-მოქმედების, უბედური შემთხვევების, სტიქიური მოვლენების და სხვა, კომისრების ანგარიშებიდან.

5. დამუშავება მასალებისა დაავადების შესახებ მაზრაში და თემებში (თვიურად და წლიურად), საექიმო-სასანიტრო განყოფილებისათვის.

6. დამუშავება მასალებისა მცხოვრებთა ბუნებრივი მოძრაობის შესახებ (დაბადება, ქორწინება, სიკვდილი) სამოქალაქო რეგისტრაციის დეკრეტის გატარების შემდეგ.

7. შეგროვება და დამუშავება სკოლების ანკეტებისა და ანგარიშებისა (სასკოლო განყოფილების საჭიროებისათვის).

8. წლიური სტატისტიკური დამუშავება ერობის სხვა განყოფილებების ანგარიშების მასალებისა (ბიუჯეტის ანალიზი, სტატისტიკა მოსამსახურეთა პირადი შემადგენლობისა, საბეითლო საქმე, სამხედრო ბეგარის საქმე, აგრარული რეფორმის გაყვანა და სხვა.

9. გამოკვლევა მასალებისა, რომელნიც აშუქებენ მაზრის მცხოვრებთა საზოგადოებრივ და ეკონომიურ ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს, სათანადო წყაროებიდან (სისხლის სამართლის სტატისტიკა, სამოქალაქო საქმეთა მოძრაობის სტატისტიკა, სტატისტიკა საწარმოო, საკრედიტო, მომხმარებელ, კოოპერატიულ და სხვა დაწესებულებათა მასალების, ჯარში გაწვეულთა საექიმო გასინჯვის სტატისტიკა, შემოსავლის განაწილების სტატისტიკა).

10. დამუშავება ძირითადი ხასიათის მასალებისა (სივრცე, მოსახლეობა, მიწათ-მფლობელობა და სხვა).

11. შედგენა და გამოცემა თბილისის ერობის ყოველ წლიური ჟურნალისა.

12. განყოფილების საქმის წარმოება.

13. დროებითი თანამშრომლების ინსტრუქციების მიცემა, რომელნიც მოწვეულნი იქმნებიან ერთდროული სტატისტიკური მუშაობისათვის, რომელიც ექსპედიციის სახით იქნება შესრულებული; აგრეთვე პირდაპირი შეგროვება მასალებისა ადგილობრივ, და ადგილობრივ დაწესებულებათა ინსტრუქციების მიცემა სხვა და სხვა ანკეტების მიხედვით.

შემოფარგლული წრე სტატისტიკური განყოფილების მუშაობისა, განაწილებული იქნება თანამშრომელთა შორის.

სტატისტიკური განყოფილების გამგე **გ. ბენაშვილი.**

აგრონომიულ დახმარების მოწყობა თბილისის მაზრაში *)

ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შემდეგ აგრონომიული განყოფილება შეუდგა პერსონალის ძიებას. გამოირკვა, რომ შესაფერი პერსონალი არ მოიპოვება. საქართველო სამეურნეო მხარეა, სადაც მცხოვრებთა 85 % მეურნეობით იკვებება, მაგრამ სამეურნეო სკოლებს ნაკლებათ ეტანებოდა და როცა მოვიდა დრო აგრონომიულ დახმარების მოწყობისა ამ საქმისთვის არ გამოჩნდნენ საჭირო პირნი.

აგრონომიულ პერსონალის სიმცირეს განიცდის არა მარტო თბილისის მაზრა, ამ მოვლენას აქვს ადგილი მთელ რესპუბლიკაში. სრულიად საქართველოს ერობათა აგრონომიულ ყრილობაზე, რომელიც წარსული წლის დეკემბერში მოიწვია ერობათა კავშირმა, ადგილობრივ აგრონომების მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ არც ერთ ერობას არ ჰყავს აგრონომიული შტატი შევსებული, რომ ერობის მეტ წილს ჰყავს მხოლოთ ნახევარი დაწესებული შტატისა; არიან ისეთი ერობებიც, სადაც ან სულ არ ჰყავთ ან მხოლოთ ერთი.

დასახული მუშაობის გეგმით უნდა მოგვეწვია საშსახურში: 2 აგრონომი, 3 სპეციალისტი ინსტრუქტორი, 6 გასაქირავებელ მანქანების პუნქტის გამგე, ორი ხელოსანი მანტიორი და ერთიც ბალბიანის სანერგის გამგე. ხსენებული პერსონალი ვერ ვიშოვეთ თავის დროზე, რამაც გამოიწვია შეფერხება მუშაობაში, ზოგიც შეუფერებელი გამოდგა და თანამდებობასაც თავი დაანება. ამ გარემოებამ დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩვენს მუშაობაზე მთელი წლის განმავლობაში. ამისდა მიუხედავათ 3—4 თვის შემდეგ ყველა რაიონებში მუშაობა დავიწყეთ.

თვით აგრონომიული დახმარება მოეწყო იმ სახით, რა სახითაც ახორციელებდნენ ამ საქმეს რუსეთის ერობები 1897—1912 წლამდე. მაზრა დაიყო დიდ რაიონებათ, იმისდა მიხედვით, თუ რამოდენი პერსონალის ჩაყენება შეიძლებოდა ამ რაიონებში. ადგილობრივ მუშაობა

*) იხ. „ერობა“ № 2.

სწარმოებს ცენტრიდან კარნახით, თუმცა რაიონის აგრონომს აქ აქვს მინიჭებული სრული თავისუფლება თავის მუშაობაში, მას არა აქვს შებოჭილი ინიციატივა, მაგრამ ამავე დროს ის ასრულებს იმ გეგმას, წლის დასაწყისში რომაა გამომუშავებული ცენტრის მიერ.

ამ შემთხვევაში ამ (ცენტრის) მოვალეობას ასრულებს მაზრის აგრონომი, რომლის მოვალეობასაც შეადგენს შეათანხმოს და ერთი გეზი მისცეს ყველა რაიონის აგრონომთა მუშაობას, გაუწიოს კანტროლი მათ, დაეხმაროს ცენტრიდან და სხვ.

როცა რუსეთში დაარსდა საერობო აგრონომია 1890 წელს,— ფაქტიურათ ერობებს შეძლება არა ჰქონდათ ფართეთ მოეწყოთ აგრონომიული დახმარება. მთელი გუბერნიისთვის იყო მხოლოთ გუბერნიის აგრონომი; მან მოიწვია მაზრებისათვის მაზრის აგრონომები; მხოლოთ 1912 წლიდან — რამდენიმე გუბერნიაში შემოიღეს უბნური აგრონომია (მოსკოვის, სამარის, ხერსონის, ხარკოვის გუბერნიებში); მაზრა დაყოფილია პატარ-პატარა უბნებად და მუშაობა სწარმოებს ცენტრის დირექტივების გარეშე. ცხადია, როცა ჩვენში თემი განვითარდება და ეკონომიურათ გაძლიერდება პერსონალიც საკმარისი იქნება. აგრონომიულ დახმარების მოწყობას იკისრებს თვით თემი და დღევანდელი ორგანიზაცია. როგორც ასეთი. მოისპობა. საერობო აგრონომიაში არსებობს ორი მეთოდი სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლათ ერთი მეთოდი პროპაგანდისა, როდესაც აგრონომი თავის მუშაობაში ეყრდნობა ცოცხალ სიტყვას (მართავს ლექციებს, სამეურნეო კურსებს) ან ბეჭდვითი საშუალებას (ჟურნალი, გაზეთი) და მეორეა ჩვენებითი მეთოდი, როდესაც აგრონომი მეტ ყურადღებას აქცევს საცდელ-საჩვენებელ მინდვრებს, სანერგეებს და სხ., რომლების შედეგებზედაც ის აშენებს თავის პროპაგანდას, ავრცელებს ხალხში მათ საშუალებით სამეურნეო ცოდნას. უკანასკნელ დროს რუსეთის საერობო აგრონომიამ აირჩია ეს მეორე მეთოდი*), რომელიც თუმცა მეტ დროსა თხოულობს, სამაგიეროთ კარგ შედეგებს იძლევა. შეერთება ამ ორი მეთოდისა, რასაც ჰქონდა ადგილი ზოგიერთ ერობებში, მიზანს ვერ აღწევს,—და უნდა ჩაითვალოს მიუღებლათ.

ამის და მიხედვით განყოფილებამ განიზრახა მოეწყო საჩვენებელი მინდვრები და ნაკვეთები.

რა უნდა ვუჩვენოთ ხალხს ამ მინდვრებზე? ცხადია, სხვა და სხვა

*) იხ. ჟურნალი „საერობო აგრონომია“ 1914—1915 წ.

რაიონში ეს საკითხი ერთნაირათ არ გადაწყდება. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ბიწის დამუშავების ტეხნიკა ძალიან დაბალ საფეხურზე სდგას ყველგან. ყველამ იცის მაგალითად როგორ ითესება პური: სათესლე მასალა თითქმის 20—50% ნაგავს შეიცავს (ბალახის თესლეულობა), სრულიათ დაუმუშავებელ ხნულში აბნევენ თესლს და ისიც გასაკვირველია, რომ მოსავალზე სულ ცარიელი არა რჩებიან. ამ შემთხვევაში აგრონომს ეძლევა შემთხვევა თავის ნაკვთზე—საჩვენებელ მინდორზე—უჩვენოს მეურნეს ყველა ის გაუმჯობესებული წესი ხვნათესვისა, რომელსაც იძლევა მეცნიერული აგრონომია.

ამ მიზნით აგრონომიულ პერსონალს გამართული ჰქონდა საჩვენებელი მინდვრები შემდეგ ადგილას: ს. საგარეჯოს, ს. ავჭალაში, ს. მანგლისში, სართიჭალაში, მანავში, მალხაზოვკაში, და სხ. ამ ადგილებში ტრიერზე (პურის სარკვევი მანქანა) გაწმენდილი პური, თევშებიანი ფარცხით დამუშავებულ ხნულში სათესი მანქანით დაითესა მწკრივათ. ასეთი დათესვა იძლევა 50% ეკონომიას. (თესლი ნახევარი უნდება შედარებით ხელით დათესილთან). სადაც კი გაეცვნენ ასეთს ნათესებს, ვინც კი ნახა სათესი მანქანა შემდეგში, თითონაც მოინდომა ასეთი დათესვა ეწარმოებინა თავის მინდვრებზე. სასვენებელ ნაკვთებზე განყოფილება აპირებდა დათესვას აგრეთვე საკვებ ბალახებისას (იონჯა, სამყურა, ესპარცეტი) და ტეხნიკურ მცენარეებისას (სელი, კანაფი), მაგრამ უთესლობის გამო ეს ვერ მოხერხდა.

მანქანით მწკრივათ დაითესა სიმინდი ს. სართიჭალაში. ამ ნაკვთსაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ მათოხით გათოხნა 40% იაფი ჯდება, ვიდრე მუშით გათოხნა.

მეორე დიდი საქმე, რომელიც იკისრა განყოფილებამ, ეს იყო სამეურნეო მანქანების გასაქირავებელ პუნქტების მოწყობა და მასთან სარემონტო სახელოსნოს დაარსება. ყოფილმა „საერობო აგრონომიულმა ორგანიზაციამ“ მანქანები გადმოგვცა მეტად უმწეო მდგომარეობაში ნავარდნილნი, დამტვრეულები და ნაწილებ დაკარგულები. მათ შესაკეთებლათ მაზრაში ორ ადგილას დავაარსეთ სახელოსნოები—ს. საგარეჯოს და ს. აღბულახში. ამ სახელოსნოებს განაგებენ მანტიორები თავისი თანაშემწეებით. მეტი წილი დამტვრეული მანქანებისა შეკეთებულ იქნა; ამის გარდა შეკეთდა აუარებელი მანქანები კერძო პირებისა.

იარაღების გასაქირავებელი პუნქტები იყო დაარსებული შემდეგ ადგილებში: ს. მანგლისში, აღბულახში, კოდაში, მარტყოფში, საგარეჯოში და მალხაზოვკაში. მანქანების წამღებნი იხდიან მცირე ქირას;

პუნქტის გამგე თან მისდევს მანქანებს სამუშაოთ იმ შემთხვევაში, თუ მანქანის წამლებმა არ იცის მისი ხმარება და გამგე მოვალეა აუხსნას მისი ხმარება.

წარსულ წლის შემოდგომაზე ჩაეყარა საძირკველი მთელი მაზრისთვის დიდ მნიშვნელოვან საქმეს: ს. სართიჭალაში ერობამ თავის 10 დეს. მიწაზე „ბალბიანში“ დაიწყო გაშენება ხეხილის სანერგისა და ამერიკულ ვაზის ნამყენისა; დროებით ამავე ადგილს აგრონ. განყოფ. გააშენა სათესლესთვის ბოსტანი. სამივე ამ მეურნეობის დარგს როგორც ვთქვი უდიდესი მნიშვნელობაა ქვს მაზრისთვის. ამ ჟამათ თითქმის მთელ გუბერნიაში არ მოიპოება სანდო სანერგე; ყოფილი სანერგეები გორის მაზრაში ან სულ ამოვარდა ან და ვერ აკმაყოფილებს თავის მაზრასაც კი. არსებულ პირობებში როცა ასე ძვირია მუშა ხელი, სანერგის გამართვა მეტად საზარალოა ერთის მხრივ, მაგრამ ამავე დროს თუ ამ საქმეში ერობა არ დაეხმარა ხალხს, იგი განიცდის დიდ გაჭირვებას და ეკონომიურათ მეურნეობასაც უკან დასწევს. ასევე ითქმის ვაზის სანერგეზე. ჩვენ ვიცით, რომ თბილისის მაზრაში მევენახეობას და მეხილეობას მეორე ადგილი უჭირავს და საჭიროა სანერგის მოწყობა, აგრეთვე ძალიან შეაწუხა ხალხი ბოსტანის თესლის უქონლობამ, თუ იყო—უვარგისი, უჯიშო და ასეთი სათესლე მასალა დიდ ზიანს აყენებდა მებოსტნეებს.

ბალბიანის სანერგეების მუშაობას შეუდექით ამ გაზაფხულს პლანტაჟით. გადავაბრუნეთ ვაზის სანერგესთვის თითქმის $^1/_4$ დეს., და ეს ადგილი უკვე უკავია ამერიკულ მწარე რქას (დამყნობა მოხდება მემრის გაზაფხულზე). ხეხილის სანერგეებშიც დაითესა მსხალი, ვაშლი, ქლიავი, ტყემალი და სხ., რომლებმაც მშვენივრათ იხარეს და ზოგი ამ შემოდგომაზე და ზოგიც მომავალ გაზაფხულს დაიმყნება. ბოსტანში დათესილია: ხახვი, კარტოფილი, მწვანილეულობა, კიტრი, საზამთრო, ნესვი და სხ. სანერგეს განაგებს გამგე და სამი თვიური მუშები, ამას გარდა ამჟამად ყოველ დღე ერობა ამუშავებს 10—15 კაცს სანერგეში. გასავალი ამ წელს ჰქონდა სანერგეს 200 000 მან. შემოსავალი ექნება ბოსტნიდან 135.000 მ-დე. გამგისთვის და წლიურ მუშებისთვის აშენებულ იქნება შიგ სანერგეში შენობა 2 ოთახით და სარაიით, რისთვისაც განყოფილებამ ითხოვა 306.000 მ.

სანერგეში ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის მუშათა სიმცირე და გაზვიადებული ხელფასი მუშა ხელისა. ეს გარემოება საშინლად გააძვირებს მოყვანილ თესლეულობას და ნამყენ ვაზს და ხეხილსა. ამის

თავიდან ასაცილებლათ ეროვამ მოაწყო სურსათის მიწოდება მუშებისთვის, რამაც მაშინათვე დასწია დღიური ხელფასი. ეს გვაძლევს საშუალებას იაფათ გაიყიდოს ნამყენები. მესაქონლეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელ მაზრაში. ამ მეურნეობის დარგს მისდევენ სამივე რაიონში, უმთავრესათ კი მანგლისის რაიონში. საშინელმა ომმა და არევდარევამ სრულიად მოსპო მესაქონლეობა და ეხლა მეურნეები დიდ გასაჭირში ჩავარდნენ. მეტად დიდი ზიანი მიაყენა ჩვენ მესაქონლეობას ხსენებულმა არევ-დარევამ, შინაურმა და გარეულმა მტერმა იმით, რომ სრულიათ მოსპეს კარგი ჯიშის საქონელი. ეხლა, აგრონომიულ განყოფილების და საერთოთ სახელმწიფოს წინაშე, ეს საკითხი მწვავედ სდგას და თხოულობს გადაწყვეტას. ამ მიზნით აღდგენილ იქნა ციხის-ჯვარის ფერმა მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ. თბილ. მაზრ. ეროვამაც ამავე მიზნებით შეიძინა ახალ ქალაქის მაზრაში დუხაბორებისგან ჯიშიანი ძროხები 15 ცალი და მოაწყო ფერმა ს. სართიჭალაში. ამ ფერმის მიზანია გაავრცელოს ხბოების დარიგებით ხალხში კარგი ჯიშის საქონელი. აგრ. განყოფილებას აგრეთვე განზრახული ჰქონდა მოეწყო ოთხ ადგილას საგრილებელი (სამაკებელი) პუნქტები, რისთვისაც უნდა შეგვეძინა შვეცის ჯიშის ბულები. სამწუხაროთ ასეთები არ აღმოჩნდნენ და ვერ შევიძინეთ. აგრონომიულმა განყოფილებამ განიზრახა წარსულ წელს მოეწყო მთელ მაზრაში სამეურნეო კურსები. ამ კურსებზე მსმენელ სოფლის მუშებს სხვა და სხვა სამეურნეო დარგიდან წაუკითხავდით ლექციებს.

ასეთი კურსები მოეწყო სოფ. საგარეჯოში. ლექტორებათ იყვნენ მოწვეულნი სხვა და სხვა დარგის სპეციალისტები. კურსები ორკვირეული იყო.

აგრეთვე მოწყობილი იყო მთელ მაზრაში ხეხილების წამლობა ჩვენი ინსტრუქტორების მიერ და თან შესაფერისი ბაასი და ახსნა ხეხილების მავნებლების შესახებ.

საზოგადოთ, როგორც თავშივე ვსთქვი, მთელ მუშაობას არ ჰქონდა ორგანიზაციული ხასიათი, არ იყო ადგილზე პერსონალი, მოუწყობელი იყო აგრონომიული პუნქტები და ამით აიხსნება ის, რომ მუშაობას არ ჰქონდა სასურველი ინტენსიური ტემპი.

აგრონომი ი. ქურდიანი.

ხეხილის ბაღის გაპატივება

ხელოვნური სასუქი.

წინა წერილში ვსთქვით, რომ ნეხვი და სხვა ორგანიული სასუქი არ არის სრული შემადგენლობისა ე. ი. იმათ აკლია კალი; პატივის სითხეს კი ფოსფორის სიმჟავე. ამიტომ ორგანიული სასუქით მიწის განაყოფიერება არ იძლევა იმ სასურველ შედეგს, რომელიც ჩვენთვის საჭიროა, ამასთანავე ყველა ოჯახში არ მოიპოება იმდენი სასუქი, რომ მთელს ბაღს ეყოს, მით უმეტეს თუ ბაღი დიდია. როცა მიწას ვაპატივებთ ორგანიული სასუქით, ნიადაგში შეგვაქვს ისეთი ნაწილები, რომლებიც ნიადაგში ისედაც ბევრია. ზემო აღნიშნული შემთხვევა ჩვენ გვავალებს შემდეგს: როცა მიწას ვანაყოფიერებთ ორგანიული ნივთიერებით აუცილებლად უნდა ვიხმაროთ მინერალური პატივიც. ყველა მინერალური სასუქი თავის ქიმიური შემადგენლობით იყოფა შემდეგ ჯგუფებად: 1) აზოტიური, 2) ფოსფორიული, 3) კალიური, 4) რკინეულობა. როცა ჩვენ ვხმაროობთ მინერალურ სასუქს, უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი ცხრილით, რომელიც შედგენილია მეცნიერ **ბარტის** მიერ და რომლიდანაც აშკარადა სჩანს, რას და რამდენს ნივთიერებას ითვისებს ხეხილი წლიურად ერთს კვადრატიულ ადგილზე.

ბ ა ღ ი	აზოტი 11,9	კალი 16,0	ფოს. სიმ. 3,1	კირი 21,1
ქლიავი . . .	7,0	10,6	2,3	8,4
ვაშლი	7,1	7,3	1,5	9,8
მსხალი . . .	7,5	10,9	2,1	6,7

როგორც ზევით ვსთქვით **აზოტიური სასუქი** ხეს უმატებს ზრდას და ნაყოფს კარგად ასრულებს. აზოტიური პატივი ბევრნაირია, მხოლოდ მეურნეობისათვის საჭიროა გვარჯილა და გოგირდის სიმჟავე—ამიაკი.

გვარჯილა შეიცავს 15—16% აზოტს რომელიც ადვილად იხსნება სითხეში და ხის ძირიც კარგა ითვისებს. გვარჯილით ნიადაგის გაპატიების დროს უნდა ვიქონიოთ მხედველობაში მისი თვისება ე. ი. რომ გვარჯილა ადვილად იხსენება წყალში. ხშირ-წვიმიან ადგილებში ან ხშირად მოსარწყავში გამდნარი გვარჯილა წყალს ღრმათ ჩააქეს მიწაში და ხის მკვებავ ფესვებს სცილდება. ამიტომ გვარჯილით უნდა განაყოფიერდეს ნიადაგი მხოლოდ მაშინ, როცა ხე ზრდას დაიწყებს. კარგი იქნება, რომ გვარჯილით გავანაყოფიეროთ ნიადაგი პირველათ როცა კვირტი ზრდას დაიწყებს, მეორედ, მაისის ან ივნისის დამლევს, როცა ნაყოფი ჩაიკვანძება და ბევრი აზოტიური ნივთიერება დასჭირდება. ერთ კვადრატიულ საჟენზედ 12 მისხალ გვარჯილას ყრიან. რადგან იგი ფხვიერია, რომ ქარმა არ წაიღოს სიმძიმისათვის ურევენ მიწას. ასეთ მომზადებულ სასუქს ჰყრიან ხის ძირში ისე, რომ ხის ტანი 1—2 არშინზე იყოს დაშორებული ამ სასუქისაგან იმ რიგათ, რომ ტოტებს ცოტა გადასცილდეს. შეიძლება გვარჯილა გაიხსნას წყალში და ასეთი სითხით მოირწყოს ხის ძირი მანამდის, სანამ ნიადაგი არ დასველდება კარგად 4—5 ვერშოკზე.

როცა ჩვენ ნიადაგს ვანოყიერებთ გვარჯილით უნდა მივაქციოთ ყურადღება ცალ-ცალკე ხის ინდივიდუალურ თვისებას: როგორი ზრდა აქვს ხეს ან ნაყოფს როგორ იძლევა. იმ ხეს, რომელიც ბევრი ნაყოფით არის მოცული, ყლორტის ზრდა შეჩერებული აქვს და ნაყოფიც წვრილი—უნდა მივ,ეს მეტი გვარჯილა ვიდრე მოზრდილ ხეს. როცა ხე კარგად იზრდება და ნაყოფს არ იღებს ასეთ ხეს სრულიად არ ესაჭიროება გვარჯილა. მისთვის აზოტიური პატივი მავნებელია. გვარჯილით უმეტეს შემთხვევაში აპატივებენ ძველ ხეებს, რომლებიც ნაყოფს არ იღებენ და ყლორტები სუსტი აქვთ. როცა ხე ხარბად იზრდება და ნაყოფს არ იღებს, ხის გაპატივების დროს მეტაღე ძლიერ ფრთხილად უნდა იყვეს. ასეთ ხეს ძლიერ ვნებს ყველა აზოტიური ნივთიერება; ამასთან, ხეს უხდება მხოლოდ ფოსფორის სიმჟავე, კალი და კირი. როცა ჩვენ რომელიმე აზოტიურ ნივთიერებას მოჭარბებით ვიხმართ, ნაყოფი ხარბად იზრდება, ფუვდება და რბილი გამოდის. ასეთი ნაყოფი დიდხანს არ შეინახება და გადაზიდვასაც ვერ იტანს: ადვილად იჟეჟება

და ლპება. ზემოთ ნათქვამი ეხება მხოლოდ ზაფხულის და შემოდგომის ხეხილს, ზამთრის ხილზე ასე ცუდათ არა მოქმედებს აზოტი. ამას გარდა აზოტიური ნივთიერება ხის ტანზედაც ისე მოქმედებს, როგორც ნაყოფზედ. ამიტომ გაზაფხულის დამლევს ხის აზოტიური ნივთიერებით განოყიერება მავნებელია, რადგან ასეთ ხეს ყლორტები ხარბად ეზრდება, შემოდგომაზე ზრდას ვერ დაასრულებს, რის გამოც ზამთრის ყინვა აზიანებს და ამასთანავე ნაყოფის შემოსვლას ძლიერ აგვიანებს. თუ გვარჯილით გაპატივებულია ხე ზაფხულის დამლევს, შეიძლება ხე შემოდგომაზე აყვავდეს, რაც სასურველი არ არის და ხისთვის მავნებელია.

გოგირდის სიმჟავეში ანუ ამიაკში იმყოფება 20% აზოტი. ამიაკი ადვილად იხსნება წყალში და ადვილად უერთდება ნიადაგს. ამიაკი ჯერ უნდა გადაიქცეს აზოტათ და მცენარეს მერე შეუძლია შეითვისოს. რადგან გოგირდის სიმჟავეს მცენარე ვერ ითვისებს მანამ მასში არ მოხდება ცვლილება ე. ი. არ გადიქცევა აზოტის სიმჟავეთ,—იგი მცენარეზედ უფრო ნელა მოქმედობს, ვიდრე გვარჯილა. ამიტომ მისი ხმარება შეგვიძლია სანამ მცენარის ფოთლები გაიშლება, ე. ი. შემოდგომაზე ან ზამთარში. როცა ამიაკი ხვდება მიწას იგი იხსნება და ჩადის ნიადაგში. აქ იქცევა გვარჯილად, რომელიც ადვილად ჩადის ღრმათ ფესვებამდის, რაც ხელს უწყობს მცენარის მიერ მის შეთვისებას ხის წვენის ამოძრავების დროს. გოგირდის სიმჟავეს ერთ კვადრატიულ საჟენზე ხმაროობენ 10—12 მისხალს.

ფოსფორის სიმჟავე ხელს უწყობს მცენარეს ყვავილის კოკორის შექმნაში, ამიტომ როცა ჩვენ სასუქად ფოსფორიულ სიმჟავეს ვხმაროობთ ხე ბევრს და სალს ნაყოფს იძლევა. თუმცა ფოსფორიული სიმჟავე მიწაში ბევრი არ არის, მაგრამ მცენარეს ბევრიც არ უნდა. მიწაში არის 1% ფოსფორის სიმჟავესი, ანუ ერთს ფუთს მიწაში არის $3^1/_2$ მისხალი. ახალგაზრდა მცენარე უფოსფოროობას არ იმჩნევს, მაგრამ მოზრდილი ხე თუ არ განოყიერდა ფოსფორით—ზიანდება. ეს ხდება იმიტომ რომ ზედა ნიადაგში ფოსფორი საკმარისია ახალ-გაზრდა ხისთვის, ხოლო როცა ხე იზრდება და ფესვი მიწაში ღრმათ მიდის ფოსფორი ნაკლებია. ფოსფორის სასუქი სხვა და სხვანაირია, მაგრამ ჩვენთვის საჭიროა მხოლოდ სუპერ-ფოსპოტი და თომას-შლაკი. ფოსფორს ხმაროობენ სასუქად ფხვიერს და ეძახიან ფოსფორის ფქვილს. რამდენათაც ფოსფორის ფქვილი წმინდაა იმდენათ უკეთესია მცენარისათვის. ყველა ფოსფორის სასუქში 13—30% ფოსფორიური სიმჟავეა. ფოსფორის სიმჟავეს თავისთავად ხის ფესვი ვერ ითვისებს თუ მასში არ არის გარეული

სხვა რომელიმე ნივთიერება. ასეთ ნივთიერებად ითვლება ტორფი და ორგანიული სასუქი. ტორფი და ორგანიული სასუქი შეერთების დროს იმუშავებენ ისეთ სითხეს, რომლის შეთვისება ადვილად შეუძლიათ ხის ფესვებს.

სუპერფოსფატი არის ერთ-მაგი და ორ-მაგი. ერთ-მაგი შეიცავს 10—20% ფოსფორის სიმჟავეს, ორ-მაგი 40—45%, რომელიც ადვილად იხსნება წყალში. ამიტომ მოქმედება სუპერფოსფატისა უფრო ჩქარია და არა ხანგრძლივი. თუ ვიხმართ სუპერფოსტფატს, როგორც სასუქს, უნდა ავიღოთ 60%; 40% პროცენტი რჩება მიწაში მომარაგებულად მომავლისათვის. სუპერფოსფატი მოქმედობს მხოლოდ პირველ ორ წელიწადს. ყოველ წელიწადს სუპერფოსფატს ყრიან 1 კვად. ხეხილის ბაღში $^1/_4$ ან $^1/_2$ გირვანქას. წესი სუპერფოსფატით გაპატივებისა ისეთივეა, როგორც წინად აღვნიშნეთ. სუპერფოსფატს ხმარობენ ორი მიზნით.

პირველი მიზანი: ხე მალე გაიზარდოს და ყვავილი ადრე გამოიღოს; მეორე—ხეებზედ გაზაფხულიდანვე ჩაისახოს ბევრი საყვავილე კოკორი, რომ მომავალ წელიწადს ბევრი და კარგი ნაყოფი გამოიღოს. თუ სუპერფოსფატით ვანოყივრებთ ნიადაგს ყოველ წლივ, მაშინ მოსავალს ყოველ წლივ ვიღებთ და არა წელიწად გამოშვებით. პირველი მიზნისათვის სუპერფოსფატით ანოყივრებენ ნიადაგს შემოდგომაზე ან და გაზაფხულზე, თოვლის გადნობის შემდეგ. მეორე მიზნისათვის მაშინ, როცა ხე დაიწყებს ყვავილს და ახალი ნაყოფი ჩაისახება. თუ ბაღი ძველია, ხეები დიდი ხნისაა და ტოტები შეერთებულია ერთი მეორესთან, გაპატივების დროს სუპერფოსფატს აყრიან მთელ ბაღში.

თომას-შლაკი შესდგება 12—20% ფოსფორის სიმჟავიდან. თომას-შლაკი უფრო ძნელად იშლება წყალში, ვიდრე ფოსფორის სიმჟავე, მაგრამ თომას-შლაკი უკეთესია იმით, რომ მიწაში არა რჩება უნაყოფოთ. თომას-შლაკი პირველ წელიწადს ხარჯავს $^1/_3$ თავის შემადგენლობისას, დანარჩენი $^2/_3$ ნაწილდება ხუთს წელიწადს და ცოტ-ცოტათი იხსნება ნიადაგში. თომას-შლაკი კიდევ იმითია უკეთესი, რომ შედარებით სუპერფოსფატზე იაფია. თომას-შლაკი უნდა მოიყაროს ნიადაგზე ყოველ წლივ შემოდგომაზე ან გაზაფხულზე. ერთ დესეტინა მიწას ჰყოფნის 100—120 ფუთი. გაპატივების დროს თომას-შლაკს უნდა აურიოთ მშრალი ლამი ან არა და წყლით ცოტათი დაასველოთ, თორემ როგორც ძლიერ ფხვიერი ნივთიერება ძნელი მოსაყრელია.

კალის პატივით განოყივრებული ხეხილი მაგრდება და უძლებს

ყოველ გვარ ავადმყოფობას და ყინვა-სიცივეს. ამასთანავე აძლევს ნაყოფს ბევრს სურნელოვან ანუ არომატიულ ნივთიერებას და ღებავს ნაყოფს ინტენსიურად. ამასთანავე ადვილად უერთდება სხვა მინერალურ ნივთიერებას და აქცევს მას მცენარისათვის ადვილად შესათვისებელ სითხეთ. ასეთი რეაქციით იგი დიდ სამსახურს უწევს ნიადაგის განოყივრებას. კალის პატივიდან მებაღეობაში ხმაროობენ მარტო ნაცარ-ტუტას, ხლორს, გოგირდის სიმჟავეს, კალს.

ფოთლიან ხის ტუტაში არის 10% კალი, ფიჭვის და სხვა ამ გვარი ხის ტუტაში—6%, ჭინჭარის და სხვა ბალახოვან მცენარეებში 17—30%. ეს მცენარის ნაცარი ანუ ტუტა უნდა აირიოს ნაგავში და ისე გაპატივდეს ხეხილი. ამ გვარად შეზავებული სასუქი ძლიერ კარგად მოქმედობს თიხნარ ნიადაგზე—აფხვიერებს მას და შეაქვს მცენარისათვის ბევრი საკვები ნივთიერება. ასეთ სასუქს აყრიან ხის ძირას $^1/_2$ ვერშოკის სისქეს. სასუქის მოყრის შემდეგ ნიადაგი უნდა დაიბაროს 4—5 ვერშოკის სიღრმეზე. ნაცრის მოქმედება ნიადაგზე გძელდება დიდ ხანს, იმიტომ რომ იგი მთელი თავის შემადგენლობით არ უერთდება ნიადაგს. ტუტა ნელ-ნელა იხრწნება, ამიტომ ნიადაგი უნდა გაპატივდეს 4—5 წელიწადში ერთხელ. ნაცრით აპატივებენ ნიადაგს ან შემოდგომაზე და ან გაზაფხულზე. ქვის ნახშირის ნაცარში შედის ერთნაირი გოგირდოვანი ნივთიერება, რომელიც ძლიერ ვნებს მცენარეს, სწამლავს ფესვებს და უეცრად ახმობს მას. ამიტომ ქვის ნახშირის ნაცარს უნდა ვერიდოთ.

ხლორში არის 40—60% და გოგირდის სიმჟავეში 50% კალი. პირველი ხელს უწყობს ხის ზრდას და ნაყოფის სიმსხვილეს, რის გამოც ნაყოფი თავის დროზე ვერა მწიფდება, მეორე კი აძლევს სიმაგრეს ნაყოფს და თავის დროზე ამწიფებს. ნიადაგის გაპატივების დროს ამ ორთავე ნივთიერებას ხმაროობენ ერთ კვადრატიულ საჟენზე $^1/_2$ გირვანქას. გაპატივების საუკეთესო დროთ ითვლება შემოდგომა ან გაზაფხული.

კირის პატივს იშვიათად ხმაროობენ მიწის გასანოყივრებლად, რადგან ეს ნივთიერება მიწაში ისედაც ბევრია. მხოლოდ ზოგიერთა ნიადაგში, როგორც მაგალითად თიხნარში, კირი სრულებით არ შედის და ამიტომ ამისთანა ნიადაგის კირით განოყიერება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. კურკიანი მცენარე ყველაზე მეტს კირსა თხოულობს. უკირო ნიადაგზე, კურკიანი მცენარე, ნაყოფს არ გამოიღებს—უდროოთ ძირსა სცვივა. კირი უმთავრესად ხელს უწყობს ხეხილს ნა-

ყოფის გამოღებაში, ნაყოფი ტკბილია, ითვისებს ბევრს არომატიულ ნივთიერებას და ინტენსიურად ღებავს ნაყოფს, რის გამო იგი ტკბილია, არომატიული და კარგი ფერისა. ჩვენ ვთქვით რომ უკიროდ მცენარე ვერ იხარებს და დიდი სიკეთე მოაქვს, როგორც გასაპატიებელ ნივთიერებას. გარდა ამისა იგი ადვილად უერთდება ქიმიურად სხვა და სხვა მაკვებარ ნივთიერებას, ამზადებს მცენარისათვის ადვილად შესათვისებელ ნივთიერებას, ფიზიკურად აუმჯობესებს ხეს და ნაყოფს, აფხვიერებს და ათბობს ნიადაგს, რის გამო ჰაერი ასეთ ნიადაგში ადვილათ მოძრაობს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარისათვის. კირით შეგვიძლია გავაპატიოთ ნოყიერი ნიადაგიც. გამოფიტული ადგილის მარტო კირით გაპატივება არ გვაძლევს იმ შედეგს, რომელიც საჭიროა მცენარისათვის. მიწას აპატიებენ დაშლილი კირით ან და დაუშლელით. დაუშლელ კირს ჰყრიან ბაღის სხვა და სხვა ადგილას, დაასხამენ წყალს და დაჰფარავენ მიწით. ასე დასტოვებენ ორ-სამ დღეს. ამ ხნის განმავლობაში კირი იშლება. ამ დაშლილ კირს მოაყრიან მთელს ბაღს ან ვენახს და მერე დაჰბარავენ. ერთ კვადრატიულ საჟენზე ხმარობენ 1-დან 2 გირვანქამდე კირს. ეთხელ კირით გაპატივება ჰყოფნის ოთხ-ხუთ წელიწადს. როცა ახალს ბაღს აშენებენ და ნიადაგში კი ნაკლებათ არის კირი, თითო კვადრატიულ საჟენზედ ხმარობენ 5-დან 20 გირვანქამდე კირს; ეს დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენ პროცენტს კირს შეიცავს ნიადაგი. მიწის ფიზიკურად გაუმჯობესებისათვის ხმარობენ ლამს და წვრილ ქვიშას.

როცა ჩვენ ვლაპარაკობდით ნიწის ხელოვნურად გაპატივებაზე მინერალური ნივთიერებით, ჩვენ განვსაზღვრეთ სივრცისათვის საჭირო მინერალური ნივთიერების რაოდენობა ე. ი. რამდენი მინერალური სასუქი სჭირდება ერთს კვადრატიულ საჟენს. ის ცხრილები, რომლებიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, შედგენილია დაახლოვებით. ნიადაგი ბაღში სხვა-და-სხვანაირია, ქიმიური შემადგენლობაც ნიადაგისა ყველგან ერთგვარი არ არის, ამიტომ სრული რეცეპტის მიცემა შეუძლებელია. მეურნემ უნდა სცადოს და შეისწავლოს თავისი ბაღის ნიადაგის თვისება ე. ი. რომელ ხეხილს რომელი და რამდენი სასუქი სჭირდება. რამოდენიმე წლის ცდა მისცემს მას სასურველ ცოდნას და შედეგს. ამასთანავე უნდა ვსთქვათ, რომ ერთგვარი სასუქი იშვიათად იხმარება. უმეტეს შემთხვევაში სხვა და სხვა სასუქს ერთად ურევენ და ისე აპატივებენ ნიადაგს. ქიმიურ პატივის შეზავების დროს დიდი სიფრთხილე გვჭირს, რომ არ აურიოთ ისეთი ნივთიერება ერთმანეთში, რომელთა

ქიმიურად შეერთება შეუძლებელია, თორემ საქმეს სრულიად წავახდენთ. რომ ქიმიური სასუქის მომზადების დროს შეცდომა არ შეგვეპაროს, უნდა ვიხელმძღვანელოთ ქიმიკოსებისაგან შემუშავებული ფორმულით, რომელსაც ეძახიან „პატივის ვარსკვლავს“.

ნიადაგის გაპატივება უნდა მოხდეს ამ რიგათ: 1) პატივი, რომელიც შეერთებულია ერთი წვრილი ხაზით შეიძლება შეუერთოთ ერთი მეორეს; 2) რომელიც შეერთებულია ორი წვრილი ხაზით, შეიძლება შეერთება მხოლოდ ნიადაგის გაპატივებამდის; 3) სასუქი, რომელიც შეერთებულია მსხვილი ხაზით, მათი შერევა შეუძლებელია. ცალმხრივი, ხელოვნური სასუქი, ცდის დროს არ იხმარება, რადგან არ შეგვიძლია გავიგოთ იმყოფება იგი ნიადაგში თუ არა. ხშირად ხდება, რომ ნაცადი ნივთიერება არავითარ გავლენას არ იქონიებს ნიადაგზე. ეს ხდება იმიტომ, რომ ნიადაგს სხვა სასუქი ნივთიერებაც ბევრი აკლია. მაგ. კალი არავითარ მოქმედებას არ გამოიჩენს თუ ნიადაგში არ არის აზოტი ანუ ფოსფორის სიმჟავე. რომ დანამდვილებით გავიგოთ რომელიმე ნივთიერების მოქმედება ნიადაგზე უნდა მოვიქცეთ შემდეგნაირათ: ერთი ნაჭერი მიწა გავაპატივოთ სასუქით, რომელშიაც შედის ყველა ნივთიერება ანუ სასუქის ნაწილი. მეორე ნაჭერი—ყველა სასუქით გარდა ერთისა მაგ. კალისა; მესამე ყველა სასუქით, (კალის მიმატებით) გარდა აზოტისა, ე. ი. თითო ნაჭერს რომელიმე ერთს ნივთიერებას დააკლებენ. თუ ყოველ ნაჭერზედ ერთნაირი გავლენა მოახდინა მაშინ ნაცადი ნივთიერება ნიადაგში საკმარისია, თუ არა და აკლია. თუ როგორ უნდა მოხდეს ცდა ნიადაგის გაპატივებისა მოვიყვანთ პატარა საცდელს ნიმუშს.

ნიმუში ერთ კვადრატულ საჟენის გაპატივებისა.

(კანტროლი) პირველ ნაჭერს არ აპატივებენ.

ა) გვარჯილა	12	მისხალი.
ბ) 20% სუპერფოსფატი.	16	„
გ) 50% ხლორის კალი .	16	„
დ) გახსნილი კირი . .	32	„

ა) 20% სუპერფოსფატი .	16	მისხალი
ბ) 50% ხლორის კალი .	16	„
გ) გახსნილი კირი . . .	32	„

ა) გვარჯილა . . . . 12 „
ბ) 50% ხლორის კალი . 16 „
გ) გახსნილი კირი . . . 1 „

ა) გვარჯილა . . . 12 „
ბ) 20% სუპერფოსფატი . 16 „
გ) 50% ხლორის კალი . 16 „

სხვა ადგილას შეგვიძლიან ვცადოთ ისევ იმ რიგით როგორც ზემოთ არის ნაჩვენები, მხოლოდ ცდის დროს შევამციროთ ნივთიერების რაოდენობა ნახევარზედ. რაც პრაქტიკული არ არის იმას ჩვენ არ ვირჩევთ, ასეთი ცდა წაგვართმევს ბევრს დროს და დიდი ცოდნაც არ არის საჭირო. შეგიძლიანთ იხმაროთ ზემოაღნიშნული სასუქის რეცეპტი, მხოლოდ უკიროთ კი.

1) თუ მიწის განოყიერებამ მოგვცა ხარბად მოზარდი ყლორტები და ხის ტანი, მაშინ ამ ნიადაგის გასაპატიებლად აზოტიური ნივთიერება საჭირო არ არის და თუ ვიხმართ ძლიერ მცირედს.

2) თუ ჩვენი მიზანია კარგის და ბლომა ნაყოფის მიღება, იმ შემთვევაში უნდა ვიხმაროთ მცირედი აზოტიური და მიუმატოთ ფოსფოროკალიური ნივთიერება.

3) გამოფიტულ და ილაჯგამოლეულ ბაღების გასაჯანსაღებლად და გასანოყიერებლად საჭიროა მიუმატოთ კალი და აზოტი.

4) რამდენადაც ხე დიდს მოსავალს იძლევა იმდენათ სასუქი ბევრი უნდა, მიუხედავათ იმისა, რომ ბაღი გაპატიებული იყო შემოდგომაზე ფოსფორით, მაინც უნდა გავაპატიოთ იგი გვარჯილით, რომ თავიდან ავიცილოთ ნაყოფის უდროოთ ჩამოცვივნა.

5) თუ ბაღი პირველად პატივდება და ნიადაგი ძლიერ გამოფიტულია შეგვიძლია მიუმატოთ ერთი მესამედი.

ზემოდ ჩვენ მოვიყვანეთ ზოგადი შეხედულობა იმის შესახებ თუ როგორ უნდა განოყიერდეს ნიადაგი ხეხილისათვის. ამასთანავე აღვნიშნეთ ის რეცეპტიც, რომლითაც შეიძლება ვიხელმძღვანელოთ ყველა მეურნეობისათვის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს რეცეპტი ყველა ადგილისათვის და ყველანაირი ნიადაგისათვის ივარგებს. თუ გვინდა გავიგოთ, რომელი რეცეპტია საჭირო ამა თუ იმ ბაღისათვის, უნდა ვიცოდეთ ნიადაგის თვისება, ე. ი. ჩვენ უნდა გვქონდეს სრული ქიმიური ანალიზი იმ ბაღის ნიადაგისა, რომლის გაპატივებასაც ვაპირებთ.

(შემდეგი იქნება) **მ. ქარცივაძე.**

ქრონიკა

დამფუძნებელ კრებაში.

პროექტი დებულებისა

ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1917 წლის 16 დეკემბრის დეკრეტისა და 1918 წ. 7 მარტის კანონის ქალაქების ფარგლებში მდებარე დაუსახლებელ მიწებზე გავრცელების შესახებ ((შეტანილია დამფ. კრებაში მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ).

1) ამიერ კავკასიის კომისარიატის 1917 წ. 16 დეკემბრის დეკრეტის და 1918 წ. 7 მარტის კანონის მოქმედება გავრცელდეს ქალაქების ფარგლებში მდებარე დაუსახლებელ მიწებზე, რომლებზედაც სასოფლო მეურნეობას ეწევიან, ქვემოდ მუხლებში აღნიშნული განსხვავებით.

2) ჩამოსართმევ მამულებიდან მფლობელთ დაეტოვებათ 3-დან 7 დესეტინამდე ადგილობრივ პირობების მიხედვით.

შენიშვნა: შავი ზღვის საკურორტო რაიონში, ნაპირიდან 3 ვერსის ფარგლებში უნდა იქნეს ნორმა $3^1/_2$ დესეტინა.

3) დატოვების ნორმას (3—7 დეს.) აწესებს ქალაქის თვითმართველობა და ამტკიცებს მთავრობა.

4) სახელმწიფო ფონდში გადასული მიწები რჩება სახელმწიფოს განკარგულებაში და მათზე არ გავრცელდება საქართველოს პარლამენტის 1919 წ. 28 იანვრის კანონი.

5) მიწების ჩამომრთმევ კომისიაში შედის გადამწყვეტი ხმით ქალაქის ერთი წარმომადგენელი გამგეობის ამორჩევით.

6) ამ რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს საბოლოოდ სწყვეტს მთავრობა.

პროექტი დროებითი კანონისა სადგომებში იძულებით მოთავსების შესახებ.

ეს პროექტი შეტანილია დამფუძნებელ კრებაში იუსტიციის მინისტრის მიერ. იგი ეხება იმას, რომ ქ. ტფილისისა, ქუთაისისა, სოხუმისა და ფოთის თვითმართველობას თავიანთ ქალაქის ფარგლებში უფლება ეძლევათ იძულებით მოათავსონ განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი პირები და დაწესებულებანი კერძო სახლებსა, ბინებსა, სავაჭრო-სამრეწველო და ყოველ სხვა კერძო დაწესებულების სადგომში.

ეს არ ეხება:

ა) მთავრობისა და სამხედრო დაწესებულებათა შენობას.

ბ) უცხო ქვეყნის მისსიასა, იმათ დაწესებულებათა, წარმომადგენლობათა და საკონსულოთა სადგომს.

გ) სასწავლებელს.

დ) საზოგადოებრივ დაწესებულებათა სადგომს.

ე) საავადმყოფოებს და მშობიარეთა თავშესაფარს.

ვ) საკომერციო, საადგილ-მამულო და სხვა ბანკების სადგომებს.

ჰ) სამლოცველო სახლს.

ბინიდან ვისიმე გადასახლება სამაგიერო ბინის მიუცემლად არ შეიძლება. არ შეიძლება აგრეთვე ბინიდან კერძო მდგმურების სხვა სადგომში გადასახლება იმ აზრით, რომ იმათი ბინა კერძო პირთ მიეცეთ, სულერთია, რა სახელმწიფო და საზოგადოებრივ თანამდებობისაც უნდა იყვნენ ეს პირნი, თუ გადასაბინავებელნი ამის შესახებ წერილობით არ განაცხადებენ თავის თანხმობას.

პროექტში დაწვრილებით აღნუსხული და განმარტებულია იძულებით მოთავსების ყველა პირობები.

მ თ ა ვ რ ო ბ ა შ ი.

შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი.

შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილის ხელის მოწერით ყველა სამაზრო ერობის თვითმართველობას და სამაზრო მილიციის უფროსებს შემდეგი ცირკულიარი დაეგზავნა: ყველამ იცის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრებაში მოუსავლობას. მოუსავლობა ამძიმებს ხალხის ისედაც

მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, რაც დიდ გავლენას ახდენს ხალხის მასაში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების საქმეზე. მოსავალი და სახელმწიფოს კულტურულ-ეკონომიური სიძლიერე მჭიდროთ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. მთავრობას მხოლოდ მაშინ შეუძლია გაატაროს დამშვიდებულად ცხოვრებაში სხვადასხვა სოციალ-ეკონომიური ზომები, როდესაც მცხოვრებლები არ გრნობენ დანაკლისს უპირველეს საჭიროების საგნებში და უპირველესად ყოვლისა პურში. 2 წლის განმავლობაში არ ყოფილა საქართველოში კარგი მოსავალი. წელს მოელიან კარგს მოსავალს, მაგრამ თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებულ დანამდვილებითი ცნობებისა, გაჩენილან უპასუხისმგებლო პირები, რომელთაც განუზრახავთ ხორბლის წინასწარ შესყიდვა და საქართველოს საზღვრებიდან გატანა. ასეთ მოქმედებას შეუძლია კვლავ შექმნას რესპუბლიკაში სასურსათო კრიზისი. დაუშვებელი იქნებოდა, რომ სახელმწიფოს ან მის მთავრობას არ მიექცია ამისათვის ყურადღება, ის პირები, რომელნიც თავის მოქმედებით ძირს უთხრიან რესპუბლიკის და ხალხის კეთილდღეობას, სამარცხვინო სვეტებზე უნდა იქნან მიკრულნი. ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოეღეს ბოლო ასეთ ბოროტ-მოქმედებას. გაცნობებთ რა ამას, გევალებათ სასტიკად ადევნოთ თვალყური, რომ არცერთი მარცვალი არ იქნეს გატანილი რესპუბლიკის საზღვრებიდან. ამის განსახორციელებლად თქვენ გაქვთ სასტიკი და ჩქარი ზომების მიღების საშუალება მათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს რესპუბლიკის ინტერესების წინააღმდეგ იმოქმედოს და მის საზღვრებიდან ხორბალი გაატანოს. დამნაშავენი სწრაფად უნდა იქნენ მიცემულ-სამართალში. თქვენი მოქმედების შედეგი დაუყონებლივ აცნობეთ საინისტროს.

ტყის ჩაბარება ბათუმის ოლქში.

მიწათ-მოქმედების სამინისტროში მიღებულ ცნობების თანახმად ბათომის ოლქში სამინისტროს რწმუნებულმა უნდა ჩაიბაროს 103.720 დეს. ტყე, რომელიც უმთავრესად ფიჭვ-ნაძვნარისაგან შესდგება. ართვინის ოლქში ჩასაბარებელია 2.538 დეს. ტყე.

———

ბორჯომის წყალი.

მიწად მოქმედების სამინისტროსთან დაარსებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ განიხილა საკითხი ბორჯომის წყლის ღირებულების შესახებ. კომისია დაწვრილებით გაეცნო ყველა გასავალს და გამოარკვია, რომ სამინისტროს

უჯდება თითო ბოთლი წყლით, შეხვევით და სხ. 18 მ. და 13,5 კ. იმ მიზნით, რომ გაძვირების გამო არ შემცირებულიყო ბორჯომის წყლის მოთხოვნილება, კომისიამ დაადგინა დაავალოს სამინისტროს კონტრაგენტს, რომ მან წყალი დადგენილ ფასზე უფრო ძვირად არ გაყიდოს. საკითხის განხილვის შემდეგ დაადგინეს: ქარხანაში ერთი ბოთლი ბორჯომის წყალი ეღირება 20 მან. და კერძოდ გაყიდვის დროს კი 25 მან. ამ პროექტს წარუდგენენ მიწათ-მოქმედების მინისტრს დასამტკიცებლად.

ერობათა ცხოვრება.

ერობათა კავშირის კომიტეტში.

— ეროკავშირის ტეხნიკური განყოფილება უკვე შეუდგა ბადიაურის წისქვილის შენებას; გაჰყავთ არხი, აწყობენ ჰიდროტეხნიკურ იარაღებს; დაწყებულია დულაბის საძირკვლების კეთება „ტურბინების“ დასაყენებლათ და თვით წისქვილის შენობის საძირკვლის ჩაყრა. წისქვილის შენობა იქნება სამ სართულიანი, გვერდზე ექნება შენობა საწყობისთვის, მუშა-მოსამსახურეთათვის და კანტორისთვის აშენებულია პურის საცხობი, სადაც უკვე ცხვება პური.

— იგივე ტეხნიკური განყოფილება აშენებს დიდუბეში ელექტრონის სადგურს, რომელიც მისცემს ელექტრონს ამერიკულ საწყობებს, ერობათა კავშირის და ქალაქთა კავშირის საწყობებს და ქალაქსაც. სადგური იქნება „დიზელებით“ მუდმივი ელექტროს ნაკადით. შენობა დამთავრდება ერთი თვის განმავლობაში.

— შესაკეთებელ სახელოსნოების გასაფართოებლათ ეროკავშირს გადააქვს თავის სახელოსნოები ყოველ საავიაციო ადგილზე. ორი შენობა უკვე მოწყობილია, შენობების მოსაწყობი მასალა და საჭირო იარაღი ნაყიდია ბათუმში, რომელიც მალე ჩამოტანილ იქნება თბილისში.

— ეროკავშირს გადაწყვეტილი აქვს ააგოს ცენტრალი საწყობი, რისთვისაც ხარჯთ-აღრიცხვა უკვე შედგენილია და დასამტკიცებლათ წარდგენილი. შენობა ამერიკული ტიპისა იქნება.

— ეროკავშირმა შეიძინა სახერხავი ქარხანა, რომელსაც უკვე იბარებს და მალე მოაწყობს სამუშაოთ.

თბილისის სამაზრო ერობა.

— თბილისის სამაზრო ერობამ აღბულაღში მყოფ გამგეობის წევრს გ. კანდელაკს დაავალა, რომ მან მიიღოს შესაფერი ზომები აღბულაღში ვორონინის სახლის და წისქვილის შესასყიდად ერობის საჭიროებისათვის.

— გარდაცვალებულ პოეტ ჩხიკვაძის ოჯახის ერთდროულ დახმარების აღმოსაჩენად გამგეობამ გადასდო 3000 მანეთი.

— ინჟენერ ქურდიანის მოხსენების თანახმად ყარაიაზის წისქვილის მოსაწყობად ერობამ გაიღო ჯერ-ჯერობითი ერთი მილიონი მანეთი.

— ერობამ დაავალა სასკოლო განყოფილებას, რომ მან მიიღოს ზომები სიძველთა ნაშთების დასაცავად.

— ერობის გამგეობამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას გენერალ-გუბერნატორის წინაშე, რათა სოფ. საგარეჯოს მცხოვრებთა და თათრებ შორის იორა-მუღანლოს საძოვრებზე შეიარაღებულ შეტაკებაში დამნაშავე პირებმა დაზარალებულთ ზარალი აუნაზღაურონ.

გორის სამაზრო ერობა.

— გორის სამაზრო ერობას განზრახული აქვს გაიყვანოს რკინის გზა გორსა და ცხინვალს შორის; პროექტი გეგმისა უკვე დამთავრებულია, ახლა შეუდგნენ კამესულ მუშაობას. მორიგი სამაზრო ყრილობა, რომელიც ახლო ხანში მოხდება ამ გეგმას დაამტკიცებს და მუშაობასაც შეუდგებიან.

— დოღლაურის არხის გამოყვანის გამოკვლევა უკვე სწარმოებს ინჟენერ მილეშნიკოვის ხელმძღვანელობით. არხი დაიწყება სოფ. ტაშისკარიდან, გაივლის მრავალ სოფელს და შეუერთდება დიდ ლიახვს. აგრეთვე სწარმოებს გამოკვლევა ტირიფონის არხისა, რომელიც ქემერტიდან დაიწყება და ქვემო ჭალაში დამთავრდება.

— გორის სამაზრო ერობის მზრუნველობა ამ ჟამად მიქცეულია ამშენებლობის საკითხისკენ, პირველ რიგში დგას სკოლების აშენება, რისთვისაც სამაზრო ერობამ მიმართა მთავრობას დახმარებისთვის.

აგრეთვე გორის სამაზრო ერობის გამგეობა მიმართავს მთავრობას მისცეს მას 9 მილიონი სესხად მიმდინარე ხარჯების დასაფარავად, ერობებისათვის დასახმარებლათ გადადებულ 100 მილიონიან ფონდიდან და ამის შესახებ მოხსენდეს აგვისტოში მოწვეულ ყრილობას დასამტკიცებლათ.

მთა ოსეთი.

გორის სამაზ. ერობის მოხსენებით მდგომარეობა მთა ოსეთში საერთოდ ფრიად სამძიმო გახდა. ადგილობრივი მოსახლეობა დაიფანტა, სახლ-კარი ბევრგან გადამწვარია. მამული და შემოსული ყანები უპატრონოდა ჰყრია. მტაცებლობაა აგავრცელებული. საჭიროა ადმინისტრაცია ხელახლად მოეწყოს. ზოგიერთი ზომები ერობის მიერ უკვე მიღებულია.

სოფლების დაგეგმა.

გორის მაზრის დანგრეულ სოფლების დაგეგმა ქალალდზე უკვე გათავებულია, ხოლო განხორციელება ამ დაგეგმის პროექტისა და ფაქტიური დასახლება, დაბინავება, დარიგება სასახლკარო ადგილებისა ფერხდება. საჭიროა სამაზრო ერობის აქტიურათ ჩარევა ამ საქმეში.

ჯიშიან საქონლის შეძენა.

გორის სამაზრო ერობამ დაადგინა შეიძინოს ციხის ჯვრის ფერმაში ბუღა და ხბოები.

სასკოლო ბინების აშენება.

ამავე ერობის გამგეობამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა აღმადგენელ კომიტეტის წინაშე, რათა მიეცეს დახმარება ატენს, ხიდისთავს და ბნავისს სკოლებისათვის ბინების აშენებაში.

წყაროები და სარწყავი რუები.

გორისავე სამაზრო ერობის გამგეობამ დაადგინა: დაევალოს ტეხნიკურ განყოფილებას გამოკვლევა და წარმოდგენა პროექტისა ხიდისთავის და გარდატენისათვის წყაროების და არხების გამართვისა და გაყოფისა, რათა მოეწყოს დაკმაყოფილება ორივე სოფლისა სასმელი და მოსარწყავი წყალით.

სიღნაღის სამაზრო ერობა.

— ივნისის 30-ს შესდგა სიღნაღის სამაზრო ერობის ყრილობა, რომელსაც თავმჯდომარეობდა გ. ნაცვლიშვილი. ყრილობას დაესწრო 30 ხმოსანი. დღიური წესრიგის მიღების შემდეგ ვრცელი მოხსენება გააკეთა გამგეობის მოქმედების შესახებ გამგეობის თავჯდომარემ მ. ახმეტელაშვილმა. მოხსენებიდან გამოირკვა რომ, გამგეობის მიერ ინტენსიური მუშაობა სწარმოებდა საერობო მოღვაწეობის ყოველ დარგში და რამდენათაც შესაძლებელი იყო ყველაფერი გაკეთდა.

შემდეგ მოხსენებანი გააკეთეს ყველა გამგეობის წევრებმა სათითაოდ თავთავიანთ დარგში, რომელთაც მასთანვე აღნიშნეს მომავალი მოქმედების გეგმა.

ერობის საფინანსო-საბიუჯეტო მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ს. ანატროშვილმა, რომელმაც აღნუსხა ექვსი თვის ნამოქმედარი და აგრეთვე აღნიშნა, რომ გამგეობამ ვერ მოასწრო საბოლოო ბალანსის დამუშავება. გამ-

გეობას გადაწყვეტილი აქვს მოიწვიოს ბუხჰალტერი—ინსტრუქტორი, რომლის შემწეობით ბუხჰალტერიის წიგნები წესრიგში მოყვანილ იქნება და ამის შემდეგ მოწვეული იქნება ყრილობა ბალანსის საბოლოო დასამტკიცებლათ.

ყრილობამ დაადგინა: დაევალოს გამგეობას ორი თვის განმავლობაში შეადგინოს 1919 წლის ბალანსი და ყრილობის მოწვევამდე დაუგზავნოს ხმოსნებს. 1920 წლის ბიუჯეტის შესახებ მოხსენება გააკეთა დ. კარიჭაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ გამგეობას არ ჰქონდა დამტკიცებული ბიუჯეტი—ვინაიდან ყრილობა მოწვეულ იქნა დაგვიანებით—ამიტომ მას უხდებოდა ხარჯების გაწევა დაუმტკიცებლათ. ბიუჯეტის მუხლობრივ განხილვის შემდეგ იგი მიღებულ იქნა კომისიისა და ყრილობაზე მიღებულ შენიშვნების შეტანის შემდეგ.

მთელი ბიუჯეტი უდრის 80 მილიონ მანეთს. ხარჯ-აღრიცხვით სახალხო განათლებისთვის გადადებულია 11 მილ მანეთი; გზებისა, ტელეგრაფისა და გიდროტეხნიკურ ნაწილისთვის 12 მილიონი; სამედიკო-სასანიტარო ნაწილისთვის 8 მილიონი; ეკონომიური აღორძინებისთვის 8 მილიონი; მილიციისა და მთავრობის დაწესებულებათა დახმარების გასავალი $7^1/_2$ მილიონი; ერობის სამმართველოს შენახვა 5 მილიონი. სხვა ხარჯები განაწილებულია სასურსათო, კომერციულ წარმოებათა განვითარებისთვის და სხვა.

შემოსავალი განზრახულია შემდეგი სახით; 11 მილიონი საიჯარო და ერობის მამულის შემოსავალი; 11 მილიონი მთავრობის კრედიტები; სხვა და სხვა გადასახადი 2 მილიონამდის; მთავრობის დახმარება 100 მილიონიან ფონდიდან 9 მილიონი; დარჩენილია თავისუფალი თანხა გასული წლიდან $3^1/_2$ მილიონი. დანარჩენი უნდა შემოვიდეს სასურსათო და ერობის წარმოების ოპერაციებიდან.

ყრილობამ დაამტკიცა რამდენიმე იძულებითი ჩამორთმევა უძრავი ქონებისა სხვა და სხვა თემების საჭიროებისთვის და ორიც სამაზრო ერობის საჭიროებისთვის.

შემდეგ რამდენიმე წვრილმანი კითხვის გარჩევისა ყრილობა დაიხურა თავჯდომარის სიტყვით.

ახალციხის ერობა.

— ახალციხის სამაზრო ერობა შეუდგა სკოლების ჩაბარებას. ჩაბარების დროს აღმოჩნდა რომ 24 სკოლიდან, რომელიც უნდა არსებობდეს მაზრაში, მხოლოთ შვიდი სასწავლებელი სწარმოებს, თოთხმეტი შენობა შეკეთებას საჭიროებს და არც უნდა ახლათ აშენდეს (დაწვისა და დანგრევის გამო) ამისთვის ერობამ შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა 13 მილიონისა და წარუდგინა მთავრობას. ჯერ ჯერობით მიღებულია მხოლოთ ერთი მილიონი.

ერობამ შეიძინა ხე-ტყის სახერხი ქარხანა და მასთანვე ოთხთვალიანი

წისქვილი. ქარხანასთან არსებობს ორსართულიანი შენობა მოსამსახურეთათვის. ქარხანა და წისქვილი მოკლე ხანში მუშაობას დაიწყებს.

ერობის გამგეობამ აგრეთვე შეიძინა შენობა გამგეობისთვის და შეკეთების შემდეგ, რომელიც ორი თვის შემდეგ დამთავრდება, გამგეობა მოათავსებს შიგ თავის კანცელარიას.

— სამაზრო ერობას განზრახული აქვს მოაწყოს ერბოსა და ყველის საკეთებელი ქარხანა, რასაც მაზრისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამისთვის ერობამ უკვე აღმოაჩინა მოხერხებული ალაგი, შეადგინა გეგმა შენობისა და ხარჯთაღრიცხვა, რომელიც წარედგინება მთავრობას განზრახული მიზნისთვის სუბსიდიის მისაღებად. ამ ქარხანასთან მოეწყობა სამაკე პუნქტი და აგრეთვე საფუტკრე.

ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ᲔᲠᲝᲑᲐ.

— ერობის სავაჭრო სამრეწველო განყ. გახსნა ქ. ოზურგეთში მანუფაქტურისა და სხვა საქონლის საწყობი; კარგა ხანია მოქმედობენ აგრეთვე სავაჭრო საწყობები ლანჩხუთში, ჩოხატაურში და ნატანებში—სარაიონო და ოზურგეთში ცენტრალური.

— ერობის გამგეობამ ვერ სცნო შესაძლებლად პარკის შესყიდვა მიმდინარე სეზონში, ამიტომ მან დაადგინა აღმოეჩინოს ყოველგვარი დახმარება კოოპერატივებს პარკის შეძენის საქმეში. ეს დადგენილება ეცნობა თემებს და მიეცა წინადადება ამის თანახმად მოქმედებისა.

— დიდი ვანის თემის გამგეობამ მოაწყო თავისი სათემო აფთიაქი.

— საექიმო დახმარების საქმე მაზრაში თან და თან ფართოვდება, ერობა ყოველივე ღონეს ხმარობს გამოცდილი ექიმების მოსაწვევათ. მაზრაში არსებულ 11-ვე საექიმო პუნქტზე უკვე მუშაობენ გამოცდილი ექიმები. ოზურგეთის ცენტრალურ საავათმყოფოში მოწვეული იქნა პრივატდოცენტი ხირურგი კეჩეკი, ხირურგები მოწვეული იქნენ აგრეთვე სხვა საავადმყოფოებშიაც.

— საფერშლო პუნქტებზე აღარსად მუშაობს ჯარის ფერშალი, ყველა პუნქტებზე არიან გამოცდილი მედიცინის ფერშლები.

— შემოქმედის თემის გამგეობა დიდი ხანია შეუდგა შემოქმედ—ოზურგეთ შუა კონკის გაყვანის საქმის მოწყობას; ამზადებენ შპალებს და სხვა. გამოკვლევა გზისა უკვე მოახდინა სამაზრო ერობის ტეხნიკურმა განყოფილებამ. თემის საბჭომ დაადგინა ამ საქმის სისრულეში მოსაყვანათ აიღოს ასი ათას მანეთიანი სესხი თემის შეძლებულ მცხოვრებთაგან, რომელი დადგენილებაც ერობის გამგეობამ დაამტკიცა იმ პირობით, რომ ფული შეტანილი უნდა იქნას ხაზინაში თემის მიმდინარე ანგარიშზე და იხარჯებოდეს თანახმად წინასწარ შედგენილ კონკის გზის ხარჯთ-აღრიცხვისა.

— ერობის გამგეობამ ამ დღეებში დაურიგა როგორც ერობის, ისე სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებს თავის საწყობიდან სიმინდი და სხვა სურსათ-სანოვაგე ძლიერ დაკლებულ ფასებში. ერობამ სიმინდი მისცა აგრეთვე მაზრის მასწავლებლებსა, მილიციასა და ოზურგეთის ქალაქის მოსამსახურეებსაც.

— ერობის გამგეობის დადგენილების თანახმად ყველა საექიმო პუნქტებთან (11-ია მაზრაში) უნდა გაიხსნას საერობო აფთიაქები; ჯერ-ჯერობით ასეთი აფთიაქები მაზრაში არსებობს 4, დანარჩენების მოწყობასაც შეუდგა საექიმო განყოფილება.

— ერობის ტეხნიკური განყოფილება უკვე შეუდგა მუშაობას მდ. სუფსაზე ნაგომარს ზევით ხიდის ასაგებათ, ამ მიზნისთვის გამგეობამ ჯერ-ჯერობით გადასდო ორასი ათასი მანეთი.

— სასკოლო განყოფილებას დაევალა გამგეობის მიერ განკარგულების მოხდენა, რომ უმაღლესს დაწყებით სასწავლო გამგეებმა პერიოდრულად ადგინონ ერობის კასაში მათდამი რწმუნებულ სასწავლებლის სპეციალურ თანხიდან შემოსული ფული; მომავალ სამოსწავლო წლიდან არც ერთს ისეთს სასწავლებელს არ მიეცემა ხვედრი ჯამაგირები, რომლებიდანაც არ იქნება ასეთი თანხები წარმოდგენილი.

მუშაობა მდ. რიონის ნაპირის გამაგრების საქმეზე უკვე მთავრდება, ნაპირი უკვე გამაგრებულია 28—30 ვერსტის მანძილზე, დარჩა მხოლოდ — 2—3 ვერსი. მეტად სასარგებლო შედეგი ამ საშვილის-შვილო საქმისა უკვე გამოჩნდა, — თუ გასულ წლებში რიონის ნაპირათ აუარებელი მიწები არ ითესებოდა წალეკვის შიშით, წელს ყველა ეს მიწები დაითესა და დაითესა ერთხელ და არა სამხელ და ოთხელ, როგორც ეს შარშან და წინა წლებში ხდებოდა როცა მდინარე გადმოდიოდა და ერთავათ მიჰქონდა ნათესი და გლეხს იძულებულს ხდიდა ხელმეორეთ დაეთესა; წელს-კი მიუხედავათ რამდენიმეჯერ განმეორებულ წყალდიდობისა, — წყალმა ვერა დააკლო რა გამაგრებულ ნაპირებს და ყანებიც წალეკვას გადარჩა.

მდ. რიონს აკრავს მრავალი ჭაობები, მათ ასაზრდოებდა რიონის წყალდიდობა; ეხლა, როცა რიონის ნაპირები გამაგრებულია და მდინარეს არა აქვს საშუალება ნაპირიდან გადასვლისა, შესაძლებელი ხდება ამ ჭაობების ამოშრობაც და აი, კიდევაც შეუდგა გურიის ერობა ამ ჭაობების გაშრობის საქმის მოგვარებას; ასეთი ჭაობიანი ადგილების სივრცე ძლიერ დიდია.

— გურიის ერობა ამ ზაფხულზედაც აწყობს სამოსწავლო კურსებს, კურსები გაიხსნება 15 ივლისს და გაგრძელებდა 10 ენკენისთვემდე. კურსებზე მოწვეულია ლექტორებათ ცნობილი პედაგოგები.

— ერობამ აგარაკ ბახმაროზე საგარაკო სეზონი გახსნა 10 ივლისიდან.

— აგარაკზე უკვე გაიგზავნა ერობის აფთიაქი, ექიმი და მილიცია; მოწესრიგება სანიტარულ-ადმინისტრატულ საქმეებისა და საერთოდ სეზონის ხელმძღვანელობა გამგეობის მიერ დაევალა ერობის რწმუნებულთა კოლეგიას; რწმუ-

ნებულებათ ერობამ დანიშნა სილ. თავართქილაძე, ვლ. გიორგაძე და ივ. ღლონტი. სასეზონო გადასახადი ერობამ დააწესა წელს: მოზრდილთათვის სულზე 100 მან. მოსწავლეთათვის 50 მან. ბავშვები 12 წლამდე სრულიად გაანთავისუფლა ამ გადასახადისაგან. ბახმაროზე მგზავრობისა და ტვირთის ატანაზე-კი ვაკისჯვრის კოოპერატივიდან და უკან მიმდინარე სეზონზე ერობამ შეიმუშავა შემდეგი ნიხრი: 1. ცხენი შეკაზმული კაცისა თუ ქალის სამგზავროთ 1200 მან. 2. ცხენი საბარგო ერთი გზა 1400 მან. 3. ფქვილისა და მარილის ატანა ფუთის 220 მან. 4. საწვრილმანო საქონლის ატანა ფუთის 250 მან. 5. ბავშვების აყვანა „იამ-ჩიკებით“—შეთანხმებით. მაგრამ არა უმეტეს 1600 მანეთისა. ჩალვანდრის ხარჯს მგზავრი არ კისრულობს.

— 1-ივლისადან ერობამ ცენტრალურ საავათმყოფოს სარგებლობისთვის დღიურ გადასახადათ დააწესა თვითეულ ავათმყოფზე 250 მან. გადასახადი ერთნებითია ყველა განყოფილებაში, ოპერაციებისათვის ავათმყოფი ზედმეტს არაფერს იხდის.

თავისი მუშა მოსამსახურენი და მილიცია ერობამ ჩასწერა ადგილობრივ მუშათა მაგიდაში.

— გურიის ისედაც მრავალრიცხოვან თემებს ამ დღეებში კიდევ მიემატა ერთი ახალი „სამხვთოს“ თემი. ეს თემი დაარსდა მიქელ-გაბრიელის თემისაგან გამოყოფილ სამი სოფლისაგან, რომელთა მცხოვრებთა რიცხვს შეადგენს სულ 350 კომლი. ამ თემის გამოყოფა უკვე დაადასტურა სამაზრო ერობის გამგეობამ, შესდგა საბჭო და არჩეულ იქნა გამგეობა, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. ამ ჟამათ გურიაში 34 თემია და არავინ იცის—რამდენად გაიზრდება კიდევ ეს რიცხვი, რადგან მიდრეკილება გათიშვისაკენ დიდია ზოგიერთ მოზრდილ თემებში, რაც ძლიერ სამწუხაროა.

— ერობამ სამსახურიდან დაითხოვა ს. ზოტის სამაჰმადიანო სკოლის მასწ. მოლა კონწოლიძე სასწავლებელში უნებართვოთ სწავლის შეწყვეტის გამო საზღვარზე არეულობის დროს.

— ბათუმისა და მისი ოლქის ჩვენზე გადმოცემამ და ამით სამაჰმადიანო საქართველოს გაერთიანებამ დედა საქართველოსთან უაღრესი სიხარულისა და სიამოვნების გრძნობით აღავსო გურულები; ხალხი დიდათ კმაყოფილია ამ აქტით; სოფლებში ყველგან ჯგუფ-ჯგუფათ მსჯელობენ ამ სასიამოვნო მოვლენაზე და სიამოვნებით იწონებენ ჩვენი მთავრობის ბრძნულ პოლიტიკას რომელმაც, იმათი თქმით, „უსისხლოთ ჩაგვიყვანა ბათუმში“.

— ერობამ დაიწყო ძაფის ხვევის საქმის წარმოება, უკვე დაიქირავა ადგილობრივი სახვევი ქარხანა და შეუდგა მუშაობას.

— ერობა უკვე შეუდგა ფონდის მიწების დანაწილებას იმ რაიონებში, სადაც წინასწარი მუშაობა დასრულდა. ამ დღეებში შესდგა ამ რაიონების საგრარიო კომისიების შეერთებული თათბირი, რომელზედაც შემუშავებული იქნა პროექტი ამ რაიონებში არსებულ თავისუფალი ფონდის დარიგებისა კერძო საკუთრებათ უმიწაწყლოთა შორის. ამ პროექტის თანახმად იმ 7000 ქცევა მიწი-

დან, რომელიც ამ რაიონებში აღმოჩნდა თავისუფალი და სავარგისი, რჩება კულტურულ დაწესებულებათა საჭიროებისათვის ერობის განკარგულებაში 346 დეს. 985 კ. ს. დანარჩენი მიწები რაიონებს შორის ნაწილდება შემდეგ ნაირად: 1) ლანჩხუთის რაიონს ეძლევა 1100 ქცევა. 2) ნიგოითის რაიონს 1700 ქცევა. 3) ბასილეთის რაიონს 1100 ქცევა. 4) აკეთის რაიონს 2000 ქცევა და 5) ნანეიშვილის-სეულს რაიონს 900 ქცევა. აქედან ლანჩხუთის რაიონს ეძლევა თავის რაიონში 615 ქცევა, სუჯუნის რაიონში 100 ქცევა და ნიგოითის რაიონში 385 ქცევა. ნიგოითის რაიონსთავის რაიონში 1650 ქცევა. ნაესაკოვის რაიონში 150 ქცევა; ბასილეთის რაიონს თავის რაიონში 258 ქცევა; ნიგოითის და ნაესაკოვის რაიონებში 843 ქცევა; აკეთის რაიონს თავის რაიონში 1375 ქცევა, ნიგოითის, სუჯუნის და ნაესაკოვის რაიონებში 625 ქცევა და ნანეიშვილის-სეულის რაიონს მიეცა ნიგოითის და ნაესაკოვის რაიონებში 900 ქცევა

— 11 ივლისს მოხდა დ. ნაგომარში ამ თემების, რიცხვით 22-მდე წარმომადგენელების ყრილობა, რომელმაც უცვლელათ დაადასტურა სააგრარიო კომისიების თათბირის მიერ შედგენილი მიწების რაიონებს შორის დანაწილების პროექტი.

— გამგეობამ გადასწყვიტა ენკენისთვიდან გახსნას ქ. ოზურგეთში ახალი ტიპის საერობო საოსტატო სემინარია. სათანადო პროექტის შედგენა დაევალა სასკოლო განყოფილებას.

— ოზურგეთის ცენტრალურ საავათმყოფოში ეწყობა ხიმიკო-ბაქტეროლოგიური ლაბორატორია. საჭირო თანხა ერობამ უკვე გადასდო.

საზოგადოთ გურიის ერობა დიდ გაჭირვებას განიცდის უბინაობის გამო, რადგან მისი მუშაობა-მოქმედების გაფართოვებასთან ერთად მრავლდება მისი დაწესებულებები და შესაფერი შენობები-კი სრულიად არ მოიძებნება ქალაქში.

ქალაქთა თვითმართველობა.

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენლების მესამე ყრილობა.

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენლების მესამე ყრილობამ მორიგი საკითხების განხილვის და კამათის შემდეგ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუციები:

1) ადგილებიდან მოხსენების შესახებ—„მიღებულ იქმნას ცნობათ“.

2) ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის განყოფილებათა მოხსენებების და 1919 წლის ანგარიშების შესახებ: — „მოისმინა რა ქა-

ლაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის, მისი განყოფილებათა და სარევიზიო კომისიის მოხსენებანი, და აღმასრულებელ ბიუროს განმარტებანი, რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენლების მესამე ყრილობა იწონებს საერთოდ ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის ნამოქმედარს, ამტკიცებს 1918—1919 წლების ანგარიშებს და გადადის მორიგ საკითხებზედ".

3) 1920 წლის შემოსავლის და გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ: ა) ქალაქთა კავშირის საწყობებიდან გაცემულ საქონელზედ პროცენტების დადება სწარმოებდეს არსებულ წესით; ბ) ქალაქთა კავშირის არჩეულ თანამდებობის პირთა ჯამაგირის განსაზღვრისათვის არჩეულ თანამდებობის პირთა ჯამაგირის განსაზღვრისათვის არჩეულ იქმნას ცალკე კომისია. კომისიაში არჩეულ იქმნენ: დ. თოფურიძე, ს. კილაძე, პ. გოთუა, პ. თუმანიშვილი და გალდავაძე; გ) დანარჩენ მოსამსახურეებს ჯამაგირები მთავარმა კომიტეტმა თვით დაუნიშნოს თავის შეხედულებისამებრ და სპეციალისტებისათვის არავითარი ნორმებით არ იყოს განსაზღვრული; დ) ქალაქთა დელეგატების ბინის შესანახად (10.000) ათი ათასი მანეთის მაგივრად, გადაიდოს (100.000) ასი ათასი მანეთი; ე) საქველმოქმედო საქმეებისათვის გადაიდოს 500.000 მან. ვ) ყრილობამ დაამტკიცა ქალაქთა კავშირის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

4) კანონ-პროექტი ქალაქთა საბიუჯეტო—საფინანსო უფლებების შესახებ: „წარმოდენილი კანონ-პროექტი დადასტურებულ იქმნას შემდეგი შესწორებით: ა) კერძო უძრავ ქონებაზედ გადასახადის რაოდენობის შესახებ მიღებულ იქმნას კომისიის წინადადება; ბ) 106 მუხლი მიღებულ იქმნას მთავარი კომიტეტის რედაქციით....

5) ადგილობრივი მმართველობანი რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის მიხედვით; კონსტიტუციის პროექტის მუხლობრივ განხილვის შემდეგ ყრილობა ადგენს: ას მეთერთმეტე (111) მუხლი მიღებულ იქმნას შემდეგი რედაქციით: ადგილობრივი თვითმმართველობა არის იმავე დროს ადგილობრივი მმართველობის ორგანო და განაგებს ყოველ ადგილობრივ მმართველობის, მეურნეობის და საზოგადოებრივ კულტურულ საქმეებს.

112, 113, 114, 115, 118 და 119 მუხლები დარჩეს უცვლელად, მხოლოდ სიტყვა „მმართველობა" შეიცვალოს „თვითმმართველობა"-თი.

116 მუხლი მიღებულ იქმნას შემდეგ რედაქციით: თუ თვითმმართველობის რომელიმე დადგენილებას ან განკარგულებას მთავრობა ან

რომელიმე მინისტრი კანონის წინააღმდეგად სცნობს და პროტესტს განაცხადებს სათანადო სასამართლოს წინაშე, ასეთი დადგენილების ან განკარგულების აღსრულება უნდა შეჩერებულ იქმნას. წესი, პირობა და ვადა პროტესტის განცხადებისა და შეჩერებისა განისაზღვრება კანონით.

117 მუხლი მიღებულ იქმნას შემდეგი რედაქციით: ცენტრალურ ხელ-უფლების განკარგულებანი რესპუბლიკის საერთო მართვა-გამგეობის საქმეში სავალდებულოა თვითმმართველობისათვის.

და ას მეორმოცე მუხლს (140) კი ჩაემატოს სიტყვები: „და ადგილობრივი თვითმმართველობის“.

6) კომუნა და სახელმწიფოს შესახებ: „სახელმწიფო და კომუნა“ მოწონებულ იქმნას, მხოლოდ თვით საკითხი საკამათოთ იქმნა მიჩნეული.

7) იურიდიული დახმარება და ნოტარიალურ კონტორების მუნიციპალიზაციის შესახებ მოხსენება მიღებულია.

8) ქალ. ბორჯომის და ბორჯომის სახელმწიფო მამულების სამართველოს ურთიერთშორის დამოკიდებულობის შესახებ—ყრილობამ მოისმინა ბორჯომის ქალაქის მოურავის ვ. ღლონტის და ექიმი კიკალიშვილის მოხსენებანი „კურორტების მოწყობის და გამგებლობის შესახებ“ და განსაკუთრებულ საკურორტო კომისიის დასკვნა ამ საკითხზე, დაადგინა: 1) ყველა კურორტების მართვა-გამგეობა და მოვლა საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურმა მთავრობამ უნდა გადასცეს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს, ე. ი. ქალაქებს და ერობებს და ცენტრალურმა მთავრობამ არ უნდა გაიჩინოს ამ ადგილებში მართვა-გამგეობის სფეროში ცალკე რაიმე ორგანო; 2) უაღრესათ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კურორტს სახელმწიფომ უნდა აღმოუჩინოს განსაკუთრებული ფინანსიური დახმარება; 3) დაევალოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტს მიიღოს ზომები, რომ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დეპარტამენტმა საჩქაროთ მოიწვიოს თათბირი კურორტების მოწყობის საკითხის დასამუშავებლად საკურორტო მმართველობის, ქალაქთა და ერობათა კავშირების და მიწათ-მოქმედედების სამინისტროს წარმომადგენელთაგან, ექიმების და საკურორტო საკითხის სპეციალისტების მონაწილეობით; 4) ამასთან დაკავშირებით გაუქმებულ უნდა იქნას არსებული კანონის ის მუხლები და თავები, რომლებიც ეხებიან კურორტების მმართვა-გამგეობას.

9) გაგრის კურორტის შესახებ: ყრილობამ მოისმინა გაგრის ქა-

ლაქის გამგეობის წევრის ბ. მგელაძის მოხსენება ქალაქ გაგრის და სახელმწიფო მამულების სამმართველოს ურთიერთშორის დამოკიდებულობის შესახებ და განსაკუთრებულ საკურორტო კომისიის დადგენილება ამ საკითხზე და დაადგინა: ყრილობა საჭიროდ აღიარებს გადაეცეს გაგრის ქალაქის თვითმმართველობას გაგრის სადგურის მმართველობისაგან მეურნეობის მუნიციპალური დარგები: ჰიგიენური აბანოები, ფურნე, წისქვილი, სასაკლაო, სავაჭრო მოედნები, სასწორი, კონკის გზა გაყვანილი ლიანდაგით და გზის დასრულების უფლება ძველი და ახალი გაგრის შესაერთებლად. გადაცემის პირობების დამუშავება მიენდოს დაინტერესებულ მხარეთ.

10) ელექტრონის გზა თბილისსა და კოჯორს შუა და მუშათა მოსახლეობა-მოხსენება მოწონებულია.

11) საუღელტეხილო გზა: ქუთაისი—ბესლანი—კოპიტნარი: 1) აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ამხანაგობის ხელ-შეკრულობის განახლება და მისი სათანადო ფორმაში ჩამოყალიბება; 2) მიემართოს ქალაქთა წარმომადგენლების მე-3 ყრილობის წევრებს წინადადებით, რათა საუღელტეხილო გზის გამოკვლევის დამთავრების მიზნით დაეხმაროონ ამხანაგობას აქციების დანაწილებაში ეროვბათა და ქალაქთა და მათი კავშირების შორის; 3) საქართველოს კოოპერატივებსა და მათ კავშირებს და საზოგადოებრივ დაწესებულებებს—მიეცეთ უფლება აქციების შეძენაში და საქმეში მონაწილეობის მიღებისა; 4) საუღელტეხილო გზის გაყვანისათვის შემზადებულ იქნეს როგორც უფლებრივი, აგრეთვე პრაქტიკული ნიადაგი და აგრეთვე გადადგმულ იქნეს ნაბიჯები მთავრობის წინაშე კონცესიის მისაღებად; 5) გამორკვეულ იქნეს, რა მდგომარეობაა მთის იქითა მხარეში და დამყარებულ იქნეს ურთიერთობა ყველა იმ ხელის უფლებასთან, რომელიც მთის იქით არსებობს თუ იარსებებს.

12) ქალაქებისათვის საზღვარ-გარეთ სესხის აღების შესახებ: დაევალოს მთავარ კომიტეტს მიიღოს სათანადო ზომები საგარეო სესხის აღების საკითხის მოსაგვარებლად.

13) სოციალურ დახმარების ორგანიზაციის შესახებ მომხსენებლის ვ. შარაშენიძის მიერ წარმოდგენილი თეზისები მიღებულ იქმნას.

ცეცხლის ქრობის მოწყობის საქმე რესპუბლიკის ქალაქებში: დაევალოს ქალაქთა კავშირის ტეხნიკურ განყოფილებას შექმნას განსაკუთრებული მაგიდა „ქალაქების ცეცხლიდან დაცვისა“ და დაევალოს მას შეიმუშაოს პროექტი ქალაქების ცეცხლიდან დაცვისა.

1921 წლის გაზაფხულზე ქალაქთა გამოფენის მოწყობის შესახებ: მოხსენება მიღებულია.

არჩეულ პირების ჯამაგირების რაოდენობის განსაზღვრა მიენდოს მთავარ კომიტეტს.

14) მთავარ კომიტეტში არჩეულ იქმნენ შემდეგი პირები:

ელიავა ნ., რუსია მ., ჯაჯანაშვილი ა., ფალილეევი ნ., ჩხიკვიშვილი ბ., თოფურიძე დ., ჟორდანია ი., კორძაია ა., მურვანიძე., შერვაშიძე, ჩხეიძე ნ., ლანდია ა., გოგუა კ., გოთუა პ., ანდრონიკაშვილი კ., მდივანი ს., ბადრიევი გ., კალანდარიშვილი დ., თოდუა ევ. ღლონტი ვ.

15) სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქმნენ:

კახიანი პ., პაპავა ა., კონიაშვილი გ., თუმანიშვილი პ., ხიდირბეგიშვილი ზ.

ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება.

საქართველოს ს.-დ. მ. პარტიის მეორე ყრილობის რეზოლიუცია.

აგრარული საკითხი.

იქონია რა მსჯელობა ამხ. ხომერიკის მოხსენების გამო მთავრობის აგრარული პოლიტიკის შესახებ, ყრილობა ესალმება საადგილ-მამულო რეფორმის გატარებას, რაც ხორციელდებოდა მეტის მეტ მძიმე პირობებში.

მემამულეთა მონობისაგან სოფლის განთავისუფლებამ, როგორც დიდი რევოლიუციის შედეგმა, მოითხოვა გადაცემა უმამულო და მცირე მამულიან სოფლელთათვის ჩამორთმეული მიწების ნაწილის, რომელზედაც წინეთაც ფაქტიურათ წარმოებდა წვრილი გლეხური მეურნეობა.

ამნაირათ გზა გაეხსნა სოფელში საწარმოო ძალების განვითარებას, და შეიქმნა საშუალება ნაციონალურ მეურნეობის აღორძინებისა.

მაგრამ ვინაიდან საქართველოში მიწის დიდი სიმცირეა, მარტო ჩამორთმეული მიწების განაწილება მთლად ვერ გადასჭრის საადგილ-მამულო საკითხს და სავსებით ვერ დააკმაყოფილებს გლეხობის საჭიროე-

ბას, ამიტომ სახელმწიფომ ყოველი საშუალებით ხელი უნდა შეუწყოს სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციას, თავისუფალ მიწებზე უმიწაწყლო მცხოვრებლების გადასახლებას და ჩასახლებას და იმავე დროს გააფართოვოს კულტურულ მიწების სივრცე საირიგაციო, სამელიორაციო და სხვაგვარ მუშაობის ფართოთ მოწყობით.

ჩამორჩენილი საგლეხო მეურნეობის მაგიერ ფართო მასშტაბით მოწყობა მიწის ნაციონალურათ დამუშავებისა და დაბალი კულტურის მაგიერ მაღალი კულტურის შემოღება შეიძლება მოხდეს სასოფლო სამეურნეო განათლების გავრცელებით, საცდელ და საჩვენებელ მინდვრების და ბაღების ხშირი ქსელის დაარსებით და ამ მიზნით სახელმწიფო მამულების გამოყენებით, იაფი კრედიტის მოწყობით, მცხოვრებთათვის პირდაპირი აგრონომული დახმარების აღმოჩენით და სხვ.

სოფლის წვრილ მწარმოებელთა კაპიტალის ექსპლოატაციისაგან დასაცავათ და აგრეთვე სასოფლო მეურნეობაში საწარმოო ძალების გასაზოგადოებრივების მოსამზადებლად ამ გარდამავალ ხანაში აუცილებლად საჭიროა, რათა სახელმწიფომ ყოველი საშუალებით ხელი შეუწყოს მწარმოებელთა კოოპერატიულათ შეკავშირებას, რომელიც მიზნათ დაისახავს მეურნეობის გაუმჯობესებას, მიწების საზოგადოებრივ დამუშავებას, სასოფლო სამეურნეო იარაღების შეძენას, და წარმოების გასაღებას და სხვ.

გასაღების საქმის უკეთ მოსაწყობათ სასოფლო მეურნეობის ამა თუ იმ ნაწარმოებზე სახელმწიფო აწესებს მონოპოლიას, რომელიც ხორციელდება მწარმოებელთა კავშირების და კოოპერატივების პირდაპირი და ცხოველი მონაწილეობით და თანამშრომლობით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფო და კომუნალურ მეურნეობის გაძლიერებას. თვითმართველობებს უნდა გადაეცეს მათ სრულ განკარგულებაში ის კულტურული მამულები და ჩამონაჭრები, რომელთაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა არა აქვთ და აგრეთვე სხვა მიწები სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდიდან, რამდენათაც ამით არ შევიწროვდება წვრილი გლეხობის ფაქტიურად მიწის სარგებლობა.

ადგილ-მამულით სპეკულიაციის წინააღმდეგ საბრძოლველად ყრილობას საჭიროდ მიაჩნია ნორმის ფარგლებით შეზღუდულ იქნეს მიწების ყიდვა-გაყიდვა, და უპირატესობა მიწების შეძენაში ადგილობრივ თვითმართველობებს მიეცეს.

ეკონომიურ-ფინანსიური პოლიტიკა.

სოციალ დემოკრატიის მიზანია — ძალა-უფლება, რომელიც მას მიანიჭა დემოკრატიის პოლიტიკურ გაბატონებამ, გამოიყენოს სოციალურ-ეკონომიურ რეფორმებით სავსებით გასატარებლათ, შემდეგ წარმოების ახალ საფუძველზე მოწყობით და მისი განვითარებით შექმნას წინასწარი პირობები სოციალისტური წყობილების დასაფუძნებლად.

ამ მთავარი მიზნის მისაღწევად პარტიის ხელმძღვანელობით სახელმწიფოს საკუთრებათ გადაეცა რესპუბლიკის ტყეები და მთა-მადნეულობა, რკინის გზები და სხვა სატრანსპორტო საშუალებანი, მსხვილი მამულები, სამკურნალო წყლები და სხვ. აგრეთვე ფართოვდება და ეწყობა სახელმწიფოს ქალაქთა, თემთა და კოოპერატივთა მიერ ახალ-ახალი საწარმოვო დარგები, ხოლო მთავარ საექსპლოატაციო საქონელზე მონოპოლიის შემოღებით სახელმწიფო გავლენიან ფაქტორად ხდება მსოფლიო ბაზარზე. ამავე დროს სახელმწიფო იძენს პირველ საჭიროების საგნებს და აწვდის მას მშრომელ ხალხს დაკლებულ ფასებში.

ამ გარდამავალ ხანაში, როცა ეკონომიური ცხოვრება ძირბუდიანად შერყეულია, სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულებანი მოკლებულნი არიან საშუალებას წარმოება და აღებ-მიცემობა მარტო საკუთარი ძალღონით მოაწესრიგონ, ამიტომ კერძო ინიციატივას, რამდენადაც ის ემსახურება საწარმოვო ძალთა განვითარებას, შესაფერი. ასპარეზი უნდა დაეთმოს.

ზემოაღნიშნული სოციალურ-ეკონონომიურ პოლიტიკის მიზან-შეწონილად ცხოვრებაში გატარებისათვის ყრილობა ადგენს: დაარსებულ იქნას რესპუბლიკის ცენტრალურ-ეკონომიური საბჭო, რომელიც გააერთიანებს სახელმწიფოს ადგილობრივ მართველობის ორგანოთა და კოოპერატივთა საღებ-მიცემო და სამრეწველო საქმიანობას, უხელმძღვანელებს მათ მოქმედებას და დააყენებს სოციალისტურ-ეკონომიური პოლიტიკის დროშის ქვეშ.

საბჭოში შესაფერი ადგილი უნდა დაეთმოს თვითმართველობათა და კოოპერატივთა წარმომადგენელებს.

კოოპერატიული პოლიტიკა.

ს. ს.-დ. მ. პ. მე-2 ყრილობა აღიარებს, რომ კოოპერაცია წარმოადგენს სოციალისტური გარდაქმნის ერთ-ერთ საშუალებას., ხოლო დღევანდელ გარდამავალ ხანაში ის არის პრაქტიკული სკოლა საზოგადოებრივი წარმოების და განაწილების საქმეში.

ყრილობა ავალებს პარტიულ ამხანაგებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ კოოპერატიულ მუშაობაში მისი სავსებით დემოკრატიულ ნიადაგზედ დასაყენებლად, და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მუშათა კოოპერაციას.

სახელმწიფო და მისი სათანადო ორგანოები ყოველი მხრივ ხელს უნდა უწყობდენ კოოპერაციის განვითარებას და უკანასკნელის ორგანიზაციულ მთლიანობის დასაცველათ თავის კოოპერატიულ პოლიტიკას უნდა ატარებდენ საქართველოს კოოპერატიული ცენტრის საშუალებით.

ვალიუტის საკითხი.

ვალიუტის საკითხის განსახილველად მოწვეულ საგანგებო თათბირზე ვალიუტის საკითხის მოსაწესრიგებლად სხვა ზომათა გარდა პროფ. ავალიანი ასახელებს:

1) ექსპორტის გაძლიერებას.

2) ვალიუტის ფონდის შესაქმნელად სხვა და სხვა წყაროს გამოძებნას.

3) ცენტრალურ დაწესებულებაში, სახელდობრ, საქართველოს სახელმწიფო ბანკში ვალიუტის ოპერაციის მონოპოლიის გამოცხადებას.

შემდეგ ვალიუტის საკითხის შესახებ დიდ მოხსენებას აკეთებს სავაჭრო სამრეწველო პალატის თავმჯდომარე დ. აბხაზი, რომელსაც ვალიუტის კრიზისთან საბრძოლველად საჭიროდ მიაჩნია შემდეგი ზომების გატარება:

1) ქალალდის ფულის ნიშნების შემცირებით და სახელმწიფოებრივი ეკონომიით ფულის ბრუნვის გაუმჯობესება.

2) ტრანსპორტის გაუმჯობესება.

3) უცხო კაპიტალის შემოყვანა (სესხი, კონცესია).

4) სავაჭრო და საკრედიტო არბიტრაჟის გაძლიერება.

5) იმპორტის შემცირება (ფუფუნების საგნების შემოტანის აკრძალვა).

6) კომპენტენტურ ორგანოს დაარსება, როგორც მაგალითად ეკონომიურ საბჭოსი, რომელიც ფინანსიურ-ეკონომიურ პოლიტიკის გატარებას ხელს შეუწყობს და სხვ.

კამათის შემდეგ, ვალიუტის კრიზისთან საბრძოლველად შემდეგი ზომების განხორციელება სცვნეს სასურველად: 1) ვალიუტის ფონდის დაუყონებლივი შექმნა, 2) დაარსება ეკონომიურ საბჭოსი, რომელიც სახელმწიფოს მეურნეობის გეგმას შეიმუშავებს, ბრძოლა სპეკულიაციასთან პირდაპირ მწარმოებელთაგან აუცილებელ საქონლის შესყიდვით, ვაჭრების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვ. კამათის შემდეგ თათბირმა დაადგინა დაუყონებლივ შექმნას ვალიუტის ფონდი და დაარსოს ეკონომური საბჭო.

ბიბლიოგრაფია.

„ერობა და ქალაქი“ № 8, ივნისი, 1920 წ.

ჩვენმა რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ერობა და ქალაქის“ უკანასკნელი ივნისის ნომერი (№ 8). როგორც უკვე გადაუწყვეტია ქალაქთა კავშირს, ამ ჟურნალის შემდეგი ნომერი გამოვა ახალი სათაურით: „ჩვენი ქალაქი“.

რაც შეეხება ჟურნალის ივნისის ნომერს, იგი შეიცავს, როგორც ჩვეულებრივ, ორ განყოფილებას—ქართულს და რუსულს. საზოგადოდ

ამ ჟურნალში ხშირად რუსული განყოფილება უკეთესად სდგებოდა, მაგრამ ეს აღარ ითქმის უკანასკნელ ნომრებზე.

უკანასკნელ ნომერში (№ 8) მოთავსებულია წერილები დ. თოფურიძის, ვ. კაკაბაძის, პროფ. ს. ავალიანის, ლ. დავითაიას, ვ. ლაშხაურის (ქართულად), ე. კოზლოვსკის, ვ. ახობაძე-ტკაჩოვის, ა. გონჩაროვის და სხ. (რუსულად).

უნდა აღვნიშნოთ, რომ დ. თოფურიძის წერილი „სახელმწიფო და კომუნა“ ფრიად საყურადღებო საკითხებს ეხება და ახალი თვალსაზრისით და ორიგინალურათ სჭრის მათ. ბ. დ. თოფურიძის აზრით „სანამ ერთი მხრით სახელმწიფოს ცენტრალური ორგენოები,—პარლამენტი და მთავრობა,—და მეორე მხრით ქალაქ ერობათა ორგანიზაციები შენდებიან ცალ-ცალკე და არა როგორც ერთი სრულიად გაერთიანებული ორგანიზაცია, მანამ ქალაქ-ერობის მუშაობა, ერის წინსვლა ნორმალურ პირობებში ჩაყენებული არ იქნება“. იგი დარწმუნებულია, რომ „ქალაქ-ერობათა“ ცენტრები და მთავრობა უნდა იქნეს გაერთიანებული, და პარლამენტი ერობათა და ქალაქთა ხმოსნებისაგან უნდა შესდგებოდეს“.

ასეთია ძირითადი საფუძველი ბ. დ. თოფურიძის შეხედულებისა, ასეთია „ახალი პრინციპი სახელმწიფოს აღმაშენებლობის, ახალი მონისტური ფორმა სახელმწიფოს ორგანიზაციისა, რომელსაც საფუძვლად ექნება განახლებული თემი“. ასეთ სახელმწიფოში გაერთიანებულ ქალაქ-ერობის ცენტრი სახელმწიფოებრივი, სახელმწიფოს გამგე ცენტრიც იქნება“.

ჩვენ სრულებით არ ვფიქრობთ, რომ ეს შეხედულება სავსებით სწორი და დემოკრატიისთვის უდავოდ მისაღებია. არ ვართ იმ აზრის, რომ სახელმწიფოებრივი ცენტრი (რაც უნდა დაარქვათ მას), სართულებიანი სისტემით შეიქმნას; თითქოს ხელსაყრელი იყოს დემოკრატიისათვის ისეთი პარლამენტი, რომელიც თვითმართველობათა ხმოსნებისაგან შესდგება და სხ.

მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ავტორი ახალ სოციალ-პოლიტიკურ პრობლემას აყენებს, ახალი გზით უდგება საკითხს, ახალ აზრებს ბადებს, ნაყოფიერ კამათის შესაძლებლობას ღძრავს. და ეს თავისთავადაც დიდი საქმეა ჩვენს დროში. იმედი გვაქვს, სულ მალე საშუალება მოგვეცემა დავუბრუნდეთ ამ საკითხს უფრო ფართოთ და დაწვრილებით არაბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში.

ნ.

რედაქტორები: { **გრ. ლორთქიფანიძე.**
პ. საყვარელიძე.

გამომცემელი: **ერობათა კავშირის კომიტეტი.**

მიიღება სელის მოწერა 1920 წლისათვის ორკვირეულ ჟურნალ

წელიწადი პირველი

„ერობა“-ზე

წელიწადი პირველი

ორგანო ერობათა კავშირის კომიტეტისა. ჟურნალი მიზნათ ისახავს ერობის ცხოვრების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხების ყოველ მხრივ გარკვევა-გაშუქებას.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ:

ავალიანი ს., ასანიძე მ., ახობაძე-ტკაჩევი ს., ბენაშვილი გრ., ბურჯანაძე ვ., გომართელი ივ., გომელაური ივ., გონჩაროვი ა., გედევანიშვილი (აგრონომი), დადვაძე ბ., დევდარიანი ს., ელიავა იანოვიჩი ვ., კარბელაშვილი ნ. (აგრონ.), კიკალეიშვილი ბ., კონი ს., დორთქიფანიძე გრ. დომოური ი., მანდელშტამი მ., მარგველაშვილი ტ., მამამთავრიშვილი გ. ნაკაშიძე (აგრონომი), ონიაშვილი დ., რუსია მ., ქავთარაძე კ., ქავთარაძე ბ., ქარცივაძე მ., ღლონტი ვ., ღლონტი თ., სეფარელიძე ბ., სოგორაშვილი გრ., სულაქველიძე კ., სულიაშვილი დ., სტურუა ი., სმირნოვი მ., ტიმოფეევი ს., შენგელია ლ., ჭანტურიშვილი ს., ჭიჭინაძე ბ., ცეკვაშვილი მ., შარაშიძე ჩ., ჯაჯანაშვილი ა. და სხვანი.

რედაქცია იმყოფება: რუსთველის პრ. № 24
ერობათა კავშირის კომიტეტის ბინა.

ე 81
1920

რედაქციისაგან:

ამიერიდან ჟურნალი „ეროვა“ თავის დროზე, დაუგვიანებლად გამოვა (ორკვირაში ერთხელ).

— —

რედაქცია სთხოვს ყველა საერობო და საზოგადოდ თვითმართველურ ერთეულებს მოგვაწოდონ ადგილობრივი ცხოვრებიდან მასალები: მნიშვნელოვანი რეზოლიუციები და დადგენილებანი, წერილები, სტატისტიკური ცნობები, გამოცემები.

— —

ვთხოვთ ყველა რედაქციას გამოგვიგზავნოს თავიანთი გამოცემა.

თფილისში გამოდის

ეროვლკვირეული, საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„სოფლის მუშა“

ორგანო საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

გაზეთი გამოვა ოროშაბათობით

მასალები უნდა გამოგზავნილ იქნეს გაზ. „ერთობის“ სახელზე—თფილისში, ერთობის ქუჩა 4, „სოფლის მუშისათვის“.

სარედაქციო კოლეგიაში შედიან: ალ. ლომთათიძე. ივ. გომართელი. სტ. ელიაძე.

ფასი 25 მანეთი.